

სადოქუმენტი ინსტრუქცია და განათქვამა

პროცესული სტრატეგია
ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის
პროცესული სტრატეგია

ვეინ ჰოლმსი
ჯენ პერსონი
ირენ-ანგელიკა ჩუნტა
ბარბარა ვასონი
ვანია დიმიტროვა

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND EDUCATION

A critical view through the lens of human rights, democracy and the rule of law

ISBN: 978-92-871- 9236-3

© ევროპის საბჭო, 2022 წლის ნოემბერი

ქართული გამოცემა მომზადდა ევროპის საბჭოს თანხმობით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროგრამა eTwinning-ის მხარდაჭერით. ქართულ თარგმანზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ქართულ მხარეს.

წინამდებარე პუბლიკაციაში შესულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელი არიან ნაშრომის ავტორები და ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ნებადართულია ამონარიდების რეპროდუცირება (500 სიტყვამდე), გარდა კომერციული მიზნებისა, თუკი დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, არ მოხდება ამონარიდების გამოყენება კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფორმით, არასრული ინფორმაციის მიწოდება, ან სხვაგვარად მკითხველის შეცდომაში შეყვანა ტექსტის შინაარსის, მასშტაბის ან კონტენტის შესახებ. ტექსტის დედანი ყოველთვის უნდა აღინიშნოს შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, 2022 – ინგლისური გამოცემა“; „© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023 – ქართული გამოცემა“.

ნებისმიერი მოთხოვნა, მთლიანი დოკუმენტის ან რომელიმე მისი ნაწილის რეპროდუცირების/თარგმნის შესახებ, უნდა გაიგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატში (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int). ზოგადი მოთხოვნა დოკუმენტის ორიგინალურ ვერსიასთან დაკავშირებით, უნდა გაიგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ დირექტორატში, განათლების დეპარტამენტი, ელფოსტა: education@coe.int. ქართულ თარგმანთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე უნდა მიმართოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, ელფოსტა: info@tpdc.ge

გარეკანისა და გამოცემის დიზაინი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო

ფოტოები: © Shutterstock

ევროპის საბჭოს გამომცემლობა

F-67075 Strasbourg Cedex

<http://book.coe.int>

ხელოვნური ინტელექტი და განათლება კრიტიკული ხედვა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პერსპექტივიდან

მთარგმნელი: ნატო ჯმუხაძე

რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

დაკაბადონება: ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-8-5947-2

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023 წლის ნოემბერი

შინაინსი

განმარტვაბი	5
მოკლე შეჯამება	11
შესავალი	15
ნაწილი I — კავშირი ხელოვნური ინტელექტსა და განათლებას შორის	21
1.1. ხელოვნური ინტელექტის განსაზღვრება	22
1.2. კავშირები ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის	27
1.3. სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით	29
1.4. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლის შესწავლის მიზნით	37
1.5. ხელოვნური ინტელექტის შესწავლა (ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება)	41
ნაწილი II — ხელოვნური ინტელექტისა და განათლების წინაშე არსებული გამოწვევები	53
2.1. ხელოვნური ინტელექტი და მოსწავლეები	54
2.2. ხელოვნური ინტელექტის ეთიკა და განათლება	66
2.3. ხელოვნური ინტელექტი და საგანმანათლებლო ეკოსისტემა	71
ნაწილი III — ხელოვნური ინტელექტი, განათლება, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა	79
3.1. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და ადამიანის უფლებები	80
3.2. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და დემოკრატია	101
3.3. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და კანონის უზენაესობა	108
ნაწილი IV — დასკვნა და საჭიროებების ანალიზი	125
4.1. დასკვნა	126
4.2. საჭიროებების ანალიზი	127
ლიტერატურა	131
დანართი I — ხელოვნური ინტელექტის განმარტვა	149
დანართი II — ევროპის საბჭოს უახლესი ანგარიშები	153
დანართი III — სხვა ორგანიზაციების მიერ მოზარდობაში უახლესი ანგარიშები	157
დანართი IV — „განათლებელი ხელოვნური ინტელექტის“ კვლევის მიმოხილვა	161
დანართი V — მოსწავლის მხარდაჭერი ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებაში	165
კვლევის შესავალი	167

განმარტვა



დაბტური სწავლების სისტემა, ტკვიანი სწავლების სისტემა (ITS), ტკვიანი ინტერაქტიული სასწავლო გარემო ან პერსონალიზებული სასწავლო სისტემა (შენიშვნა: ზოგიერთი ტერმინი ჯერ კიდევ საკამათოა): ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს დეტალურად გაწერილ გაკვეთილებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, დამხმარე მექანიზმებს (მაგ. რეკომენდაცია, უკუკავშირი, რჩევა და მინიშნება) და შეფასებებს, რომლებიც იქმნება ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლისთვის და რომელთა თემები აღებულია, როგორც წესი, კარგად განსაზღვრული, სტრუქტურირებული საგნებიდან, როგორებიცაა მათემატიკა ან ფიზიკა.

ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება: შესაბამისი კომპეტენციების ფლობა ხელოვნური ინტელექტის როგორც ადამიანური, ისე ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ (ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით).

ხელოვნური ინტელექტის სისტემა: ტერმინი, რომელიც მოიცავს ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტებს, აპლიკაციებს, პროგრამულ უზრუნველყოფებს, ქსელებს და ა.შ.

ხელოვნური ინტელექტი: ხელოვნური ინტელექტის განსაზღვრება და აღქმა საკმაოდ რთული საკითხია. ამიტომ გთავაზობთ ორ განმარტებას:

მეცნიერებების, თეორიებისა და ტექნიკების ერთობლიობა, შექმნილი ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების რეპროდუცირებისთვის, მანქანური მოწყობილობის მეშვეობით. უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების მიზანია, რომ, მაგალითად, მოწყობილობას მივანდოთ ისეთი რთული ამოცანების შესრულება, რომლებიც წარსულში მხოლოდ ადამიანის პერფორმაციას წარმოადგენდა. (ევროპის საბჭო, 2021)¹

მანქანურ მოწყობილობაზე დაფუძნებული სისტემა, რომელსაც შეუძლია ადამიანის მიერ განსაზღვრული ამოცანის შესახებ პროგნოზირება, რეკომენდაციების გაცემა ან ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შემდგომში გავლენას ახდენენ რეალურ ან ვირტუალურ გარემოზე. ხელოვნური ინტელექტის სისტემები ურთიერთმედებენ ჩვენთან და ზემოქმედებენ ჩვენს გარემოზე, პირდაპირ თუ ირიბად. ხშირად ხელოვნური ინტელექტის სისტემა მოქმედებს ავტონომიურად და შეუძლია საკუთარი ქცევის ადაპტირება კონტექსტის შესწავლის საფუძველზე. (UNICEF, 2021: 16)²

1. www.coe.int/en/web/artificial-intelligence/glossary.
2. www.unicef.org/globalinsight/reports/policy-guidance-ai-children.

ხელოვნური ინტელექტის განმარტებების დამატებით საილუსტრაციოდ, ალტერნატიული დეფინიციები მოცემულია დანართში I.

ხელოვნური ინტელექტი და განათლება (AI&ED): სხვადასხვა კავშირი ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის, რაშიც იგულისხმება, მაგალითად: სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, ხელოვნური ინტელექტის შესწავლა და მომზადება ხელოვნური ინტელექტისთვის. ხელოვნური ინტელექტით სწავლას, ასევე, უწოდებენ „ხელოვნური ინტელექტი განათლებისთვის“.³

ხელოვნური ინტელექტი განათლებაში (AIED): 1980-იან წლებში დამკვიდრებული კვლევითი მიმართულება, რომელიც ძირითადად სწავლობს განათლების მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს (ანუ სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით).

წერილობითი ნამუშევრის ავტომატური შეფასება: ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტი, რომელიც იყენებს ბუნებრივ ენასა და სემანტიკას, სისტემაში ასახული წერილობითი ნაშრომის შესახებ ავტომატური უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

დიდი ზომის მონაცემები: სხვადასხვა წყაროდან სწრაფად გენერირებადი, დიდი ზომის ჰეტეროგენული და ცვალებადი მონაცემები, რომლებიც მოწოდება, კომბინირდება და ანალიზდება შაბლონებისა და კორელაციების დასადგენად, ახალი დასკვნების გასაკეთებლად.⁴ დიდი მონაცემების ანალიზი, მანქანური ალგორითმების გარეშე, წარმოუდგენლად რთული ამოცანაა ადამიანისათვის.

ჩატბოტი: სისტემა, რომლის დანიშნულებაც ავტომატურ რეჟიმში პასუხების მიწოდება, შეტყობინებაზე ბუნებრივი ენის ინტერპრეტირების გზით. როგორც წესი, ჩატბოტი გამოიყენება შეკითხვებზე პასუხების გასაცემად (მაგ. „სად ტარდება ჩემი შემდეგი გაკვეთილი?“, „სად მივიღო ინფორმაცია ჩემი შეფასების შესახებ?“).

3. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)10, წევრ სახელმწიფოებში ციფრული მოქალაქეობის სწავლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ.

4. www.coe.int/en/web/artificial-intelligence/glossary.

დიალოგზე დამყარებული სასწავლო სისტემა: ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეების ჩართულობას ბეჭდვით თუ სასაუბრო პროცესში, შესასწავლი თემატიკის გარშემო.

ელექტრონული პროქტორინგი: ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე სისტემების გამოყენება მოსწავლეთა გამოცდების მონიტორინგისათვის, კარნახისა და გადაწერის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით.

სასწავლო მონაცემების ანალიზი: იხილეთ **სწავლის ანალიტიკა**.

განათლების სპეციალისტები: ტერმინი, რომელიც აერთიანებს ფორმალურ განათლებასა და ადრეული ზრუნვის სისტემაში ჩართულ მასწავლებლებსა და სხვა პროფესიონალებს, მათ შორის, სკოლის ფსიქოლოგებს, პედაგოგებს, ბიბლიოთეკარებს, ასისტენტებსა და დამრიგებლებს.

პერსონიფიცირებული ხელოვნური ინტელექტი და რობოტი: მოძრავი მოწყობილობა, რომელიც ასრულებს ამოცანებს ავტომატურად ან გარკვეული დამოუკიდებლობით.

კვლევითი სასწავლო გარემო: ხელოვნური ინტელექტით მომუშავე ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს შეუძლია, მიიღოს ცოდნა შესასწავლი გარემოს ელემენტების გამოკვლევისა და მანიპულირების საფუძველზე. როგორც წესი, ამგვარი სისტემა იყენებს ხელოვნურ ინტელექტს უკუკავშირის მისაწოდებლად, რაც, სხვა შემთხვევაში, რთულ მიდგომას წარმოადგენს სწავლისადმი.

GOFAI: „ძველი, კეთილი ხელოვნური ინტელექტი“: ეს არის ხელოვნური ინტელექტის ტიპი, უმეტესწილად, ცნობილი, როგორც „სიმბოლური ხელოვნური ინტელექტი“ ან „წესებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტი“, რომელიც დომინანტურ პარადიგმას წარმოადგენდა, სანამ მანქანური სწავლება გამოჩნდებოდა ასპარეზზე.

ჭკვიანი ინტერაქტიული სასწავლო გარემო: იხილეთ **ადაპტური სწავლების სისტემა**.

ჭკვიანი სწავლების სისტემა: იხილეთ **ადაპტური სწავლების სისტემა**.

K12: დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურზე მყოფი ბავშვები (ანუ საბავშვო ბაღიდან საშუალო სკოლის დასრულებამდე).

მსწავლელი: ტერმინი, რომელიც გულისხმობს ფორმალურ განათლებაში ჩართულ ბავშვს ან მოზარდს (ანუ მოსწავლეს ან მოწაფეს) და ყველა ასაკის ადამიანს, რომელიც ჩართულია ფორმალურ, არაფორმალურ ან არაოფიციალურ განათლებაში (უწყვეტი განათლების პრინციპის თანახმად).

სწავლის ანალიტიკა და სასწავლო მონაცემების ანალიზი: ციფრული მოწყობილობის მიერ გენერირებული დიდი ზომის მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ვიზუალიზაცია მოსწავლეებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, ასევე, სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით.

სასწავლო ქსელის ორკესტრატორი: ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ხელსაწყო, რომელიც ქმნის და მხარს უჭერს სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანების ჯგუფებს (მაგ. მოსწავლეები და მათი თანატოლები, ან მოსწავლეები და მასწავლებლები, ან მსმენელები და ინდუსტრიის წარმომადგენლები).

მანქანური სწავლება: დღესდღეისობით, დომინანტური ხელოვნური ინტელექტის სახეობა, რომელიც იყენებს ალგორითმებსა და სტატისტიკურ მოდელებს, რათა გააანალიზოს დიდი ზომის მონაცემები, გამოავლინოს მონაცემთა შაბლონები, გამოიტანოს დასკვნები და მოახდინოს ადაპტაცია კონკრეტული და დეტალური ინსტრუქციების გარეშე.

ბუნებრივი ენის დამუშავება ან მეტყველების ტექსტად გადაქცევა და ბუნებრივი ენის გენერირება: სისტემები, რომლებიც იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, ტექსტებისა და სალაპარაკო ენის რეპროდუცირების, ინტერპრეტირების, თარგმნისა და შექმნის მიზნით.

პერსონალიზებული სასწავლო სისტემა: იხილეთ ადაპტური სასწავლო სისტემა.

პლაგიატის შემოწმება: ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ტექსტის სკანირების ინსტრუმენტი, რომელიც ახდენს პლაგიატის დონის იდენტიფიცირებას ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა საშინაო დავალება, მოხსენება ან სტატია, წარმოდგენილი მასალის არსებულ ტექსტებთან შედარების გზით.

პროფილირება: პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავება, რომლის მიზანია პიროვნების საქმიანობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, პერსონალური პრეფერენციების, ინტერესების, სანდოობის, ქცევების, ადგილსამყოფელისა ან გადაადგილების გაანალიზება ან პროგნოზირება.

რობოტი: იხილეთ პერსონიფიცირებული ხელოვნური ინტელექტი.

სასწავლო მასალების ჭკვიანი კურირება: ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობის გამოყენება სასწავლო მასალების (როგორებიცაა ღია სასწავლო რესურსები) და ისეთი მასალების ავტომატური იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს მასწავლებლისთვის ან მოსწავლისათვის.

მეტყველების ტექსტად გადაქცევა: იხილეთ ბუნებრივი ენის დამუშავება.

მოკლე შეჯამება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წელს აღინიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს განათლების სფეროზე, თუმცა, ამავე დროს, თან ახლავს უამრავი შესაძლებლობა და საფრთხე. სწორედ აღნიშნულმა დაკვირვებებმა განაპირობა წინამდებარე ანგარიშის მომზადება, რომლის მიზანია ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებული კავშირების შესწავლა.

ფაქტია, რომ ხელოვნური ინტელექტი განათლებაში უკვე გახდა მრავალი საერთაშორისო კვლევის საგანი (იხ. დანართი III) – მაშ, რა განასხვავებს წინამდებარე ანგარიშს სხვებისგან? ამ შეკითხვის პასუხი სამი უნიკალური მახასიათებელია. პირველი, ამ კვლევაში ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ხელოვნური ინტელექტის როგორც გამოყენება, ასევე, მისი სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შემდგომში „ხელოვნური ინტელექტი და განათლება“. მეორე, ხელოვნური ინტელექტი და განათლება გავაანალიზეთ ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების პერსპექტივიდან: ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. და მესამე, განათლებაში ხელოვნური ინტელექტის სარგებლის უსიტყვო აღიარების ნაცვლად, კრიტიკული თვალთ შევხედეთ ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას, მათი შესაძლებლობებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. საერთო ჯამში, ჩვენი მიზანია, საზოგადოებას შევთავაზოთ ჰოლისტიკური ხედვა მასზე, რომ ხელოვნური ინტელექტი აძლიერებს და არ დომინირებს პედაგოგსა და მოსწავლეზე, და რომ სამომავლო ტექნოლოგიური მიღწევები და პრაქტიკა, ნამდვილად საერთო სიკეთისკენაა მიმართული.

ანგარიში იწყება შესავლით ხელოვნური ინტელექტისა (რა არის და როგორ მუშაობს ის) და ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირების შესახებ: სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით (მოსწავლის დამხმარე, მასწავლებლის დამხმარე და სისტემის დამხმარე ხელოვნური ინტელექტი), ხელოვნური ინტელექტის გამოყენება „სწავლის შესწავლის“ მიზნით (ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც „სწავლის ანალიტიკა“) და ხელოვნური ინტელექტის შესწავლა (ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ადამიანური და ტექნიკური ასპექტები). მეორე ნაწილში განხილულია ხელოვნური ინტე-

ლექტისა და განათლების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები: „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ (AIED) ტიპური აპლიკაციების მიერ შერჩეული პედაგოგიური მეთოდები, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ აპლიკაციების ზემოქმედება კოგნიტურ განვითარებასა და მოსწავლის მოქმედების თავისუფლებაზე, ასევე, ემოციების დეტექციისა და სხვა ტექნიკების გამოყენება, როგორებიცაა, სათვალთვალო კამერები, ციფრული დაცვა, ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ეთიკა, ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო კონტენტში დანერგვის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ კოლონიალიზმი.

მესამე ნაწილში კვლავ გაგრძელდება ხელოვნური ინტელექტისა და განათლების შესწავლა, ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების - ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პერსპექტივიდან, იმის მითითებით, რომ ამჟამად არსებობს შესაბამისი ლიტერატურის ნაკლებობა. აქედან გამომდინარე, შემოგთავაზებთ ევროპის საბჭოს დაკვეთით, ალან ტურინგის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ნაშრომს „ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა: გზამკვლევი“ (ლესლი და სხვ. 2021), რომელშიც იდენტიფიცირებული და გამოკვლეულია განათლების წინაშე არსებული პრობლემები.

რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, შევეცდებით, შევისწავლოთ ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ზეგავლენა ბავშვის უფლებებზე, მათ შორის, განათლების მიღების, ღირსების დაცვის, ავტონომიურობის, საკუთარი აზრის გამოხატვის, დისკრიმინაციისგან დაცვის, კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის, გამჭვირვალობისა და ინფორმირებულობის, ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვისა და ტექნოლოგიებში ჩართვის შესახებ თანხმობის არმცემის ან გაუქმების უფლება. დემოკრატიის თვალსაზრისიდან კი, განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება ხელოვნურმა ინტელექტმა და განათლებამ გააძლიეროს ან დააზიანოს დემოკრატიული ღირებულებები, ან როგორ შეიძლება დემოკრატიული განათლება, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ღია ხელმისაწვდომობასა და თანასწორობაზე, დაზარალდეს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტისა“ და კომერციული აპლიკაციების დომინირებით, ან როგორ ახდენს ცალკეული ინსტრუმენტები ინდივიდუალიზმის ხელშეწყობას სწავლა-სწავლების თანამშრომლობითი და სოციალური ასპექტების ხარჯზე და, ასევე, ხელოვნური ინტელექტის მოდელების ზეგავლენას, რომლებიც სამყაროს წარსულის ფუნქციად წარმოაჩენენ. კა-

ნონის უზენაესობასთან დაკავშირებით, მოყვანილი და განხილულია რამდენიმე მაგალითი, როდესაც განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების გამოყენებას სამართლებრივი შედეგები მოჰყვა - ისტორიული, სასკოლო მონაცემების გამოყენება ინდივიდუალური მოსწავლეების შესაფასებლად, სასწავლო მონაცემების კვალი და ბიომეტრიული მონაცემები. ამის შემდეგ, დავსვამთ სამ საკვანძო შეკითხვას: მიზანშეწონილია თუ არა, ბავშვს მოვთხოვოთ ხელოვნური ინტელექტის რომელიმე კონკრეტული სისტემის გამოყენება? შეძლებს თუ არა ხელოვნური ინტელექტი, ოდესმე გაიაროს აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტი და გახდეს კანონიერი? უნდა სცეს თუ არა პატივი სკოლამ მშობლების ან შვილების სურვილებს, თუ უნდა გააჩნდეს უფლება, ხელოვნური ინტელექტის კონკრეტული სისტემის გამოყენება გახადოს სავალდებულო?

ბოლოს, მეოთხე ნაწილში, წარმოგიდგინთ დასკვნას და დროებით საჭიროებათა ანალიზს ხელოვნური ინტელექტისა და განათლების წინაშე არსებული ღია გამოწვევების, შესაძლებლობებისა და შედეგების შესახებ, რომლის მიზანია შემდგომი კრიტიკული დისკუსიების სტიმულირება და ინფორმირება. სავარაუდო საჭიროებებია: ევროპის საბჭოს საქმიანობაში კავშირების იდენტიფიცირებისა და მათზე მუშაობის აუცილებლობა; მეტი მტკიცებულების მოპოვების საჭიროება განათლების სექტორზე, მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენის შესახებ; ცუდი პედაგოგიური პრაქტიკის გაგრძელების თავიდან აცილების აუცილებლობა; მტკიცე რეგულირების საჭიროება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებები, სანამ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენება დაიწყება განათლების სექტორში; საჭიროება, რომ მშობლებმა შეძლონ თავიანთი დემოკრატიული უფლებებით სარგებლობა; სასწავლო გეგმების საჭიროება, რომელშიც შეტანილი იქნება ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების როგორც ადამიანური, ასევე, ტექნოლოგიური ასპექტები; ეთიკის საჭიროება, საგანმანათლებლო კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების შემუშავებისა და გამოყენების შესახებ; საჭიროება იმისა, რომ მონაცემთა დაცვის უფლება და ინტელექტუალური საკუთრების უფლება მკაფიოდ დარჩეს მოსწავლის პრეროგატივად; და განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და სწავლების აუცილებლობა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით.

2019 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა რეკომენდაცია „ციფრული მოქალაქეობის განათლების შესახებ“, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე საგანმანათლებლო კონტექსტში:

ხელოვნური ინტელექტი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი, გვთავაზობს ბევრ შესაძლებლობას, თუმცა, ამავე დროს, მოიცავს უამრავ საფრთხეს, რაც აუცილებელს ხდის ადამიანის უფლებების პრინციპების გათვალისწინებას მისი გამოყენების საწყის ეტაპზე. პედაგოგებმა უნდა იცოდნენ ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში გამოყენების ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა გაძლიერდნენ – და არ დაიზარონ – ტექნოლოგიების არსებობით ციფრული მოქალაქეობის სწავლებისას. მანქანური სწავლებისა და სიღრმისეული დასწავლის საშუალებით, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია განათლების გამრავალფეროვნება... ამასთანავე, ხელოვნური ინტელექტის სფეროში მიღწეულმა პროგრესმა შესაძლოა სერიოზული გავლენა მოახდინოს ურთიერთქმედებაზე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ან, ზოგადად, მოქალაქეებს შორის, რამაც შესაძლოა დააზიანოს განათლების არსი, ანუ თავისუფალი ნების, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა სასწავლო შესაძლებლობების შეთავაზებით... მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ადრეა სასწავლო გარემოში ხელოვნური ინტელექტის ფართო გამოყენებაზე საუბარი, აუცილებელია განათლების სფეროს ექსპერტებისა და სასკოლო პერსონალის ინფორმირება ხელოვნური ინტელექტისა და მასთან დაკავშირებული ეთიკური გამოწვევების შესახებ სასკოლო კონტექსტში. (ევროპის საბჭო 2019)⁵

სწორედ აღნიშნულ დაკვირვებებსა და მისწრაფებაზე დაფუძნებული ეს ანგარიში, რათა დეტალურად იქნეს შესწავლილი კავშირები ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის, ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობის მიზნით.⁶ აქედან გამომდინარე, ანგარიში არ მიმოიხილავს 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მომზადებულ აკადემიურ კვლევებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ განათლებაში (იხ. დანართი IV, სადაც მოცემულია „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ აკადემიური კვლევების მიმოხილვა), არამედ გთავაზობთ კრიტიკულ ანალიზს იმისა, თუ რა სიტუ-

5. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)10 წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრული მოქალაქეობის განათლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=090000168098de08

6. ევროპის საბჭო, ღირებულებები, www.coe.int/en/web/about-us/values.

აციაა ამჟამად, ის რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად ინერგება სკოლებში, იწარმოება მრავალი მილიონი დოლარით დაფინანსებული კომერციული მოთამაშეების მიერ, ასევე ის, რომ პოლიტიკის შემქმნელების მხარე მოთხოვნაა, შემუშავდეს სკოლის მოსწავლეზე მორგებული ხელოვნური ინტელექტის კურიკულუმი. გლობალურ დონეზე, „განათლებაში ხელოვნურ ინტელექტს“, როგორც წესი, ენთუზიაზმით ხვდებიან – რაზეც მოწმობს მრავალი საერთაშორისო კვლევა და რეკომენდაცია, რომელიც უდავოდ დადებით სურათს აღწერს (კვლევების ჩამონათვალი იხილეთ დანართებში II და III). აქვე, დისკუსიის დაბალანსების მიზნით, შემოგთავაზებთ უფრო რეალისტურ ხედვას, კონკრეტულად კი, ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებული კავშირების შედეგად წარმოქმნილი რთული გამოწვევების შესახებ, რათა მოგაწოდოთ ჰოლისტური სურათი იმის საგარანტიოდ, რომ სამომავლო განვითარება და პრაქტიკა ნამდვილად იქნება მიმართული საერთო სარგებლის მიღებისაკენ.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა „ციფრული მოქალაქეობის განათლების პროექტის“ (DCE) ფარგლებში, რომლის მიზანია ბავშვების გაძლიერება მათთვის განათლებისა და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფით დღევანდელ, სულ უფრო მეტად ციფრულ საზოგადოებაში.⁷ ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო ხშირად ხდება დისციპლინათშორისო განხილვების თემა, ასევე, ეყრდნობა და უკავშირდება ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტის სხვა პროექტებს, განსაკუთრებით კი წიგნიერებისა და ცხოვრებისეული უნარების მიმართულებით. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი გამჭოლად კვეთს ევროპის საბჭოს დირექტორატების ინტერესების სფეროს, როგორცაა მონაცემთა დაცვა, ბავშვის უფლებები და დემოკრატიული კულტურისთვის კომპეტენციები.⁸

ევროპის საბჭოს „ხელოვნური ინტელექტის დროებით კომიტეტს“ (CAHAI)⁹, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სტანდარტებზე დაყრდნობით, დაევალა ხელოვნური ინტელექტის შე-

7. ევროპის საბჭო, „ციფრული მოქალაქეობა და განათლება“, www.coe.int/en/web/digital-citizenship-education.

8. ევროპის საბჭო, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო (RFCDC), www.coe.int/en/web/reference-framework-of-competences-for-democratic-culture

9. ხელოვნური ინტელექტის დროებითი კომიტეტი, www.coe.int/en/web/artificial-intelligence/cahai.

მუშავეების, განვითარებისა და გამოყენების სამართლებრივი ჩარჩოს მიზან-შეწონილობისა და პოტენციური ასპექტების შესწავლა ფართო და მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე. ამ მიზნით, CAHAI-ის საქმიანობა ფოკუსირდა შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო ხელშეკრულებებისა და ეთიკის სახელმძღვანელოს შედგენაზე, ხელოვნური ინტელექტიდან გამომდინარე რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მიუხედავად ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი ხასიათისა, CAHAI-ის მიერ მომზადებული კვლევა არ არის ფოკუსირებული განათლებაზე, როგორც ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ განზომილებაზე. დღეისთვის, ევროპის საბჭოს „ხელოვნური ინტელექტის დროებითი კომიტეტის“ (CAHAI) ნაცვლად, ფუნქციონირებს „ხელოვნური ინტელექტის კომიტეტი“ (CAI).¹⁰

აქედან გამომდინარე, ჩვენს მოტივაციას წარმოადგენდა ამ უმთავრესი ხარვეზის აღმოფხვრა ისეთი კვლევის მომზადებით, სადაც ყურადღება გამახვილდებოდა განათლებაზე, ხელოვნური ინტელექტის ძირითად სფეროზე და რომელიც გამიზნული იქნებოდა ევროპის საბჭოს საკვანძო აუდიტორიისთვის. ჩვენი მიზანი იყო ამ სფეროში იდენტიფიცირებული ძირითადი საკითხებისა და პრობლემების ჩარჩოს შემუშავება, CAHAI-ის ანგარიშის სისრულეში მოყვანისა და დახვეწის მიზნით, რათა უფრო ფართოდ გვესაუბრა ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირებისა და ზეგავლენების შესახებ ადამიანურ ღირებულებებზე, ასევე, შესაბამისი საფუძვლის მომზადება სამომავლო კვლევებისთვის.

კვლევის მიზნებისთვის, განხილულ იქნა შემდეგი მასალები:

- ▶ აკადემიური და რეცენზირებული პუბლიკაციები;
- ▶ ღია სივრცეში ხელმისაწვდომი პოლიტიკის სახელმძღვანელოები და ჩარჩო ხელშეკრულებები, მათ შორის, საერთაშორისო, ეროვნული და მთავრობათშორისი უწყებების მიერ შემუშავებული;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების, მარეგულირებელი და უფლებადამცველი ორგანოების, ასევე, მესამე სექტორის მიერ მომზადებული სხვადასხვა ლიტერატურა.

წინამდებარე ანგარიში ფოკუსირდა შემდეგ კითხვებზე (ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების გათვალისწინებით):

10. www.coe.int/en/web/artificial-intelligence/cai.

- ▶ რას გულისხმობს „ხელოვნური ინტელექტი და განათლება“, რას მოიცავს ის და რაში გამოიხატება მისი პოტენციური სარგებელი?
- ▶ რა სახის პრობლემები და პოტენციური რისკები შეიძლება წარმოიშვას ამ მხრივ და როგორ უნდა მოხდეს მათი შერბილება?
- ▶ რა ხარვეზებია უკვე ცნობილი, დოკუმენტირებული და აღწერილი და რა სახის კითხვები რჩება ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი?

ანგარიში შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან. პირველ ნაწილში, საუბარია ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირებზე. მეორე ნაწილში ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული და გამოკვლეულ იქნა ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებაში არსებული პოტენციური გამოწვევები. მესამე ნაწილში ხელოვნური ინტელექტი და განათლება შესწავლილია ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების (ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა) პერსპექტივიდან და წარმოდგენილია კრიტიკული შეფასება ჩვენი მიგნებების შესახებ. მეოთხე ნაწილში კი მოცემულია საჭიროებების ანალიზი და შედეგების შეჯამება ხელოვნური ინტელექტის განათლებაში გამოყენების კუთხით არსებული ღია გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ. ჩვენ მიერ მომზადებულ ანალიზში ხაზგასმულია საჭიროება, რომ მოხდეს ევროპის საბჭოს კვლევაში კავშირების იდენტიფიცირება და მათზე კონცენტრირება, პოლიტიკის შემქმნელებს შორის ურთიერთგაგების გაძლიერება, ასევე, იმ გამოწვევების გაცნობიერება, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტი უქმნის იმ კონკრეტულ დირექტორატებსა და წევრ სახელმწიფოებს, სადაც ბავშვების ცხოვრება ზეწოლის ქვეშაა საგანმანათლებლო კონტექსტში და მის ფარგლებს გარეთ.

გარდა ამისა, ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ხელოვნური ინტელექტის ალტერნატიული განმარტებების ჩამონათვალი (იხ. დანართი I), ამ სფეროში არსებული ურთიერთდაკავშირებული კვლევების ჩამონათვალი (იხ. დანართები II და III), სტატიების ჩამონათვალი, სადაც გაეცნობით „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ გამოყენების შესახებ ჩატარებული აკადემიური კვლევების მიმოხილვას (იხ. დანართი IV), ასევე, ხელოვნური ინტელექტის კომერციული ინსტრუმენტების ჩამონათვალი (იხ. დანართი V).

დაბოლოს, წინამდებარე ანგარიშის პარალელურად, ევროპის საბჭოს ციფრული მოქალაქეობის განათლების დეპარტამენტი დღეისთვის ახორციელებს გამოკითხვას წევრ სახელმწიფოებში, რათა უკეთ გაანალიზდეს ხე-

ლოვნურ ინტელექტსა და განათლებასთან დაკავშირებული ეროვნული ინიციატივები, ასევე, დაგეგმილია ფართომასშტაბიანი კონფერენცია (2022 წლის სექტემბერი) დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. აღნიშნული გამოკითხვისა და კონფერენციის, ასევე, ამ ანგარიშის მიზანია, შეიქმნას საფუძველი ევროპის საბჭოს სამომავლო კვლევებისთვის ხელოვნური ინტელექტისა და განათლების მიმართულებით.

ნაწილი I

კავშირი ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის

კოვიდ-19-ის პანდემიის მიერ გამოწვეული სოციალური ცვლილებებისა და საგანმანათლებლო ლანდშაფტში მისი ზეგავლენის, ასევე, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების (ევროპის საბჭო, 2021 წ.) ფონზე,¹¹ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირების შესწავლა ნამდვილად დროულია:

ტექნოლოგიები და ინოვაციები ძალზედ მნიშვნელოვანია... თუმცა არსებული სურათი ბევრად უფრო კომპლექსური, ბევრად უფრო არაწრფივი და ბევრად უფრო დინამიკურია, ვიდრე მარტივი ჩართე-და-იმუშავე მეტაფორა. ნებისმიერ, ერთი შეხედვით, პერსპექტიულ გამოსავალს, შესაძლოა, თან სდევდეს სახიფათო ან არასასურველი შედეგები. ამიტომ აუცილებელია, ხელახლა გავანალიზოთ ჩვენი მიდგომა, ხოლო ცალკეული ამოცანების გადაწყვეტის ნაცვლად, ვფოკუსირდეთ მრავალგანზომილებიანი, ურთიერთდაკავშირებული და სულ უფრო მეტად უნივერსალური სირთულეების დაძლევაზე. (გაეროს განვითარების პროგრამა, 2020: 5)

სწორედ ამ სირთულეების გადაჭრა გახდა ჩვენი მოტივაცია ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირების შესწავლისას.

11. უმაღლესი განათლების პასუხი კოვიდ-19-ის პანდემიაზე: უფრო მდგრადი და დემოკრატიული მომავლის მშენებლობა, <https://rm.coe.int/prems-006821-eng-2508-higher-education-series-no-25/1680a19fe2>.

1.1. ხელოვნური ინტელექტის განსაზღვრება

იმისათვის, რომ შევისწავლოთ ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებული კავშირები, ჯერ უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. სინამდვილეში, ხელოვნური ინტელექტის აღწერა და მისი საზღვრები საკამათო საკითხია, ვინაიდან არ არსებობს ერთი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება (იხ. I დანართი, სადაც მოცემულია ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა განსაზღვრება) და არსებული განმარტებებიც მუდმივად ცვლილებას განიცდის:

ზოგადი ტიპის აპლიკაციებში, უკვე დიდი ხანია გამოიყენება ბევრი უახლესი ხელოვნური ინტელექტი, რომლებსაც ხშირად საერთოდ აღარ უწოდებენ ხელოვნურ ინტელექტს, რადგან მას შემდეგ, რაც რაიმე ხდება სასარგებლო ან ფართოდ გავრცელებული, მას უკვე აღარ უწოდებენ ხელოვნურ ინტელექტს. (ბოსტრომი, თ.გ.)¹²

გაერთიანებული სამეფოს აღან ტურინგის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევა „ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა: გზამკვლევი“ (ლესლი და სხვ. 2021), ეყრდნობა ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის დროებითი კომიტეტის (CAHAI) ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, რომელშიც ხელოვნური ინტელექტის სისტემა შემდგენიარადაა განმარტებული:

ხელოვნური ინტელექტის სისტემა არის ალგორითმული მოდელი, რომელიც ასრულებს კოგნიტურ და შემეცნებით ფუნქციებს, რაც წარსულში წარმოადგენდა მხოლოდ ადამიანის აზროვნების, განსჯისა და მსჯელობის საგანს. (ლესლი და სხვ. 2021: 8)¹³

იმის გათვალისწინებით, რომ ეს განმარტება შეიცავს სიტყვებსა და ცნებებს, რომლებიც არც თუ ისე გამჭვირვალე და მკაფიოა ფართო აუდიტორიისთვის (მაგ. ალგორითმული), ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ UNICEF-ის მიერ შემოთავაზებულ დამატებით განმარტებას (რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს „წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობისა და განვითარების ეკონომიკური ორგანიზაციის“ მიერ შეთანხმებული დეფინიციიდან (OECD)):

ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს მანქანურ მოწყობილობაზე დაფუძნებულ სისტემებს, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესახებ პროგნო-

12. ოქსფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფოსი ნიკ ბოსტრომი ციტირებულია: <http://edition.cnn.com/2006/TECH/science/07/24/ai.bostrom>.

13. <http://rm.coe.int/cahai-2020-23-final-eng-feasibility-study-/1680a0c6da>.

ზირება, რეკომენდაციების გაცემა ან გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შემდგომში გავლენას ახდენენ რეალურ ან ვირტუალურ გარემოზე. ხელოვნური ინტელექტის სისტემები ურთიერთქმედებენ ჩვენთან და ზემოქმედებენ ჩვენს გარემოზე, პირდაპირ თუ ირიბად. ხშირად ისინი ავტონომიურად მოქმედებენ და შეუძლიათ თავიანთი ქცევის ადაპტირება, კონტექსტის შესწავლის საფუძველზე. (UNICEF, 2021: 16)

ზემოთ მოცემულ დეფინიციამე რამდენიმე მიზეზის გამო შევჩერეთ არჩევანი. პირველი – ის არ არის დამოკიდებული მონაცემებზე, თუმცა ითავსებს მონაცემებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის ტექნიკებს, როგორებიცაა ხელოვნური ნეირონული ქსელები და სილრმისეული დასწავლა; მეორე – ის, ასევე, მოიცავს წესებზე დაფუძნებულ ან სიმბოლურ ხელოვნურ ინტელექტს და ხელოვნური ინტელექტის ნებისმიერ ახალ სამომავლო პარადიგმას; და მესამე – ის ხაზს უსვამს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები აუცილებლად დამოკიდებულია ადამიანის მიერ განსაზღვრულ ამოცანებზე და რომ ხანდახან „ისინი ავტონომიურად მოქმედებენ“, თუმცა არა ფსევდოავტონომიურად, რაც საკვანძო ასპექტია, თუკი გავითვალისწინებთ ადამიანის კრიტიკულ როლს ხელოვნური ინტელექტის განვითარების ყველა ეტაპზე (ჰოლმსი და პორეისკა-პომსტა, 2022) მაშინ, როცა პირველ დანართში მოცემული არც ერთი განმარტება არ შეიცავს ყველა ამ მახასიათებელს. თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ UNICEF-ის განმარტება სრულყოფილი არ არის. ის კონკრეტული ელემენტი, რომელიც ნაკლებ ეფექტურად გვესახება, არის ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ „შესწავლის“ ცნება – ანუ მსჯელობის ან თავისუფალი მოქმედების უნარის საჭიროება, რაც ამჟამად, და უახლოეს მომავალში, მანქანურ სისტემებს ნამდვილად არ ექნება (რიჰეი, 2021). ამასთან, ანთროპომორფული ტერმინების გამოყენება მანქანურ მოწყობილობაზე მომუშავე სისტემების ასაღწერად (მათ შორის, „ინტელექტი“, „სწავლა“ და „ამოცნობა“, მაგ. „სახის ამოცნობა“) იმდენად ხელოვნური ინტელექტის ნარატივის ნაწილია, რომ, მიუხედავად მათი დამაბნეველი და არაპრაქტიკული ბუნებისა, ნაკლებ სავარაუდოა უახლოეს მომავალში შეიცვალოს.

ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ პირველად გაჟღერდა ერთ-ერთ სემინარზე დარტმუთის კოლეჯში, 1956 წელს. იმ დროიდან მოყოლებული, ხელოვნურმა ინტელექტმა გამოიარა მნიშვნელოვანი ინტერესებისა და გრანდიოზული პროგნოზირებების პერიოდები, განსაკუთრებით კი პერიოდი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტის ზამთარი“, როდესაც დიდი პროგნოზები არ მატერიალიზდა, რასაც, შესაბამისად, მოჰყ-

ვა დაფინანსების ამოწურვაც. დღემდე ხელოვნური ინტელექტის მკვლევრების ინტერესის საგანს წარმოადგენს ორი პარალელური მიდგომა. პირველის თანახმად, არსებობს „სიმბოლური“ ხელოვნური ინტელექტის მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის მსჯელობის პრინციპების კოდირებასა და ცოდნის ინჟინერიაზე (ექსპერტული ცოდნის დაშიფვრა), რის შედეგადაც შეიქმნა „ექსპერტული სისტემები“. ამ მიდგომას ხშირად უწოდებენ „წესებზე დაფუძნებულ“ ან „ძველ, კეთილ ხელოვნურ ინტელექტს“ (GOFAL). მეორე მიდგომის თანახმად კი, მიუხედავად იმისა, რომ ის დროში თითქმის ემთხვევა პირველს, არსებობს ხელოვნური ინტელექტი, რომლის შთაგონების წყაროს წარმოადგენს ადამიანის ტვინის სტრუქტურები (ნეირონები) და რომელიც დასკვნებს აკეთებს, როგორც წესი, დიდი რაოდენობით მონაცემებზე დაყრდნობით. ხელოვნური ნეირონული ქსელების (ANN) მიდგომა ერთ-ერთია მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული მიდგომებიდან (რომელიც, ასევე, მოიცავს დამხმარე ვექტორულ მანქანებს (SVM), ბაისის ქსელებს და გადაყვეტილებების ხეს), რომლებსაც, ერთობლივად, მანქანურ სწავლებას (ML) უწოდებენ.

მე-20 საუკუნის ბოლოს ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მიღწეული პროგრესის უმეტესობა ფოკუსირებული იყო სიმბოლურ ხელოვნურ ინტელექტზე, თუმცა პროგრესი შეფერხდა სხვადასხვა პრობლემის გამო, რამაც გამოიწვია ხელოვნური ინტელექტის „ზამთარი“. 21-ე საუკუნის დასაწყისში, ბევრად უფრო სწრაფი პროცესორებისა და უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების (ძირითადად, ინტერნეტიდან მიღებული) ხელმისაწვდომობის წყალობით, დომინანტური გახდა მანქანური სწავლება – და სწორედ მანქანურმა სწავლებამ განაპირობა ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელოვანი წინსვლა (მაგ. ენათა წყვილებს შორის ავტომატური თარგმნა¹⁴, ასევე, იმის გარკვევა, თუ როგორ ფორმებშია ცილები ჩამალული¹⁵). საინტერესოა ის, რომ ამჟამად, ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, მანქანური სწავლება მალე მიაღწევს განვითარების ზენიტს და რომ შემდგომი მნიშვნელოვანი პროგრესი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი შეიქმნება

14. მაგალითად, OBTranslate ფონდი (www.obtranslate.org) არის სიღრმისეული დასწავლა, ონლაინ CAT (თარგმნა კომპიუტერის დახმარებით) ინსტრუმენტი, ნეირონული მანქანური თარგმნა (NMT) და ენების ხელოვნური ინტელექტის პლატფორმა. მისი მშობელი კომპანიაა OpenBinacle.

15. Google DeepMind (2021), AlphaFold, სწავლობს 50 წლიან გრანდიოზულ გამოწვევას ბიოლოგიაში, <https://deepmind.com/blog/article/alphafold-a-solution-to-a-50-year-old-grand-challenge-in-biology>.

ახალი პარადიგმა (რაც, სავარაუდოდ, გააერთიანებს GOFAI-ს და მანქანური სწავლებას). (მარკუსი, 2020)

მიუხედავად შთამბეჭდავი მიღწევებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართო გამოყენებისა, ხშირად ხელოვნური ინტელექტი გადამეტებული ქება-დიდებასა და ჰიპერბოლიზების ობიექტია,¹⁶ რაც ბევრ პრობლემას წარმოშობს:

ხელოვნური ინტელექტის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა, შესაძლოა, შექმნას არარეალისტური მოლოდინები, არასაჭირო ბარიერები და აქცენტირება მოახდინოს ხელოვნური ინტელექტზე, როგორც პანაცეაზე, და არა ხელსაწყოზე, რომელსაც შეუძლია პოზიტიური პროცესების მხარდაჭერა. (ბერიჰილი და სხვ. 2019: 27)

მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის სისტემები საკმაოდ მყიდვია: ერთმა მცირე ცვლილებამ საგზაო ნიშანში, შესაძლოა, შეაფერხოს ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოსახულების ამოცნობის პროცესი (ჰევინი, 2019). აღნიშნული სისტემები, ასევე, შეიძლება იყოს არაობიექტური, რადგან მონაცემები, რომლებზეც სისტემები იტესტება, მიკერძოებულია (Access Now, 2018; ლედფორდი, 2019). ხელოვნური ინტელექტის ენობრივი მოდელები, როგორიცაა GPT-3 (რომერო, 2021), რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხშირად სისულელეებს წერენ (ჭათსონი, 2021; მარკუსი და დევისი, 2020), ხოლო ხელოვნური ინტელექტის მიდგომებმა, ფაქტობრივად, ვერ მოახდინა გავლენა კოვიდ-19 პანდემიაზე, როდესაც პანდემიამ პიკს მიაღწია (ბენეტი, 2020; ჰევინი, 2021; რობერტსი და სხვ. 2021; უოლესერი, 2021). შესაბამისად, თემები, რომლებიც ხშირად გვხვდება სამეცნიერო ფანტასტიკაში, როგორებიცაა, მაგალითად, სინგულარობა (კურცვილი, 2006) ან ზეადამიანური ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობები, რომელთა მართვაც კაცობრიობას არ ძალუძს,¹⁷ კვლავ მითების სფეროს განეკუთვნება.

პრობლემების უმეტესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკავშირდება ტერმინებს, რომლებიც ამ ტექნოლოგიისთვის სახელწოდების მისანიჭებლად გამოიყენება (რეჰაქი, 2021). წარსულში მიღებული გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული სფეროსთვის დაერქმიათ ხელოვნური „ინტელექტი“, ფაქტობ-

16. მაგალითისთვის, ხშირად ამბობენ, რომ ზოგ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტი „ადამიანზე უკეთესია“, www.theguardian.com/global/2015/may/13/baidu-minwa-supercomputer-better-than-humans-recognising-images. თუმცა, ძალიან ცოტა მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ აღნიშნული განცხადება სწორია.

17. [https://en.wikipedia.org/wiki/Skynet_\(Terminator\)](https://en.wikipedia.org/wiki/Skynet_(Terminator)).

რივად, გულისხმობს, რომ „არა-ადამიანური“ ინტელექტის შექმნა შესაძლებელია. ხელოვნური ინტელექტის ანთროპომორფიზმი გარდაუვალად ნიშნავს თავისუფალი მოქმედების უნარს (მაგალითად, „სწავლა“ საჭიროებს ვინმეს ან რაღაცას, რომელიც „სწავლობს“). ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი არ უნდა იქნეს განხილული წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით; პირიქით, ხელოვნური ინტელექტი არის რთული სოციოტექნიკური არტეფაქტი და უნდა გავიგოთ, როგორც რაღაც, რაც ფორმირდება რთული სოციალური პროცესების შედეგად (ეიონი და იანგი, 2021). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც განვიხილავთ ხელოვნურ ინტელექტს, უნდა გავითვალისწინოთ მისი როგორც ადამიანური, ასევე, ტექნიკური ასპექტები ტანდემში.

ამის ერთ-ერთი მაგალითია ხელოვნური ინტელექტის პოტენციური ზეგავლენა პროფესიებზე. ბევრი განცხადება გაკეთდა იმის შესახებ, თუ როგორ შეცვლის ხელოვნური ინტელექტი დასაქმების სფეროს მომავალში (მაგ. არნცი და სხვ. 2016; ბუგინი და სხვ. 2017; სასკინდი და სუსკინდი, 2015). ერთ-ერთ გავლენიან ნაშრომში, ფრეიმ და ოსბორნიმ შეაფასეს ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა 700-ზე მეტ პროფესიაზე და გამოავლინეს შრომის ბაზრის პოლარიზაციის ტენდენცია, რაც გამოიხატა „მზარდი დასაქმებულობით მაღალშემოსავლიან კოგნიტურ პროფესიებში და დაბალშემოსავლიან მექანიკურ პროფესიებში, რასაც შედეგად მოჰყვა საშუალოშემოსავლიანი რუტინული პროფესიების შემცირება“ (2013: 14). დაბალშემოსავლიანი პროფესიის ერთ-ერთი მაგალითი, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ამჟამად ქმნის, არის, ეგრეთ წოდებული, ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილი „ფანტომის სამუშაო“: მონაცემების გაწმენდა, გამოსახულების დასათაურება და კონტენტის მოდერაცია, რაც, როგორც წესი, სრულდება ძალიან დაბალანაზღაურებადი მუშახელის მიერ განვითარებად ქვეყნებში (გენტი, 2019; რავალი, 2019). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს, ბევრი ადამიანი საბოლოოდ მაინც დაკარგავს სამუშაო ადგილს და, ნაკლებ სავარაუდოა, რომ საშუალო შემოსავლის მქონე მუშახელმა მარტივად მოახერხოს მაღალშემოსავლიან კოგნიტურ პროფესიებზე გადართვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა დასაქმების ბაზარზე კომპლექსურია და ჯერ არ არის სრულად იდენტიფიცირებული.

სხვა პრობლემები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის როგორც ადამიანურ, ასევე, ტექნიკურ ასპექტებს უკავშირდება, არის: გენდერული თანასწო-

რობა, სათვალთვალო კამერებით დაკვირვება და ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა მდგრად განვითარებაზე. თითოეული მათგანი დეტალურადაა განხილული ქვემოთ.

1.2. კავშირები ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის

ხშირად (მაგ. დევისი და სხვ. 2020; OECD, 2021; სელდონი და აბაილოი, 2018), თუმცა იშვიათად ძლიერ მტკიცებულებებზე დაყრდნობით (მიאו და ჰოლმსი, 2021a), ხელოვნურ ინტელექტს მიიჩნევენ განათლების სფეროში არსებული მრავალი პრობლემის გადაწყვეტად (მაგ. კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობა, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება, მნიშვნელოვანი განსხვავება წარმატების მიღწევის კუთხით მდიდარ და ღარიბ მოსწავლეებს შორის). მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული მაინც საჭიროებს მთელი რიგი საკითხების შესწავლას: რა მიზნებს ემსახურება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განათლებაში, სად გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი, ვინ იყენებს მას (პიროვნება, დაწესებულება, ინდუსტრია), როგორ ხორციელდება მისი ექსპულატაცია, რომელ დონეზე (ერთეული მოსწავლის თუ მთელი კლასის მიერ, თანამშრომლობითი ჯგუფების მიერ თუ ეროვნულ ან ტრანსნაციონალურ დონეზე), როგორ მუშაობს ის და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ხისტი საზღვრები არ არსებობს, კავშირები ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის მაინც დაჯგუფდა ოთხ კატეგორიად: „სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით“, „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლის შესწავლის მიზნით“, „ხელოვნური ინტელექტის შესწავლა“ და „მომზადება ხელოვნური ინტელექტისთვის“. (ჰოლმსი და სხვ. 2019).

სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით გულისხმობს ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტების გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში:

- ▶ ხელოვნური ინტელექტი, უშუალოდ მოსწავლის მხარდასაჭერად, მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს: ტკვიანი სასწავლო სისტემა, დიალოგზე დაფუძნებული სასწავლო სისტემა, კვლევითი სასწავლო გარემო, წერიითი ნაშრომის ავტომატური შეფასება, სასწავლო ქსელის ორკესტრატორი, ჩატბოტი და ხელოვნური ინტელექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად;

- ▶ ხელოვნური ინტელექტი ადმინისტრაციული სისტემის მხარდასაჭერად (ახალი კადრების დაქირავება, განრიგების შედგენა და სასწავლო პროცესის მართვა);
- ▶ ხელოვნური ინტელექტი უშუალოდ მასწავლებლის მხარდასაჭერად (ამის ძალიან ცოტა მაგალითი არსებობს, თუ არ ჩავთვლით სასწავლო მასალების ტკვიანი კურიერების სისტემას).

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლის შესწავლის მიზნით არ ნიშნავს მკაცრად ხელოვნურ ინტელექტს, რაც ყოველთვის გულისხმობს რაიმე სახის ავტომატიზაციას, არამედ მოიცავს იმავე ან მსგავსი მონაცემების ანალიზს, რომელიც გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის შესწავლის ინსტრუმენტებში და რომელიც იყენებს ანალოგიურ ანალიტიკურ ტექნიკებს. აქ მონაცემები გამოიყენება იმის დასადგენად, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები, როგორია აკადემიური პროგრესი ან რომელი სასწავლო სტრუქტურაა უფრო ეფექტური – მისი მიზანია მოსწავლეების, მასწავლებლებისა ან სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება, ან მსმენელთა მიღების, შენარჩუნებისა და პროგრამების დაგეგმვის ფასილიტაცია. ეს ერთმანეთის მსგავსი, თუმცა მაინც განსხვავებული სფერო, როგორც წესი, ცნობილია, „სასწავლო ანალიტიკის“ ან „სასწავლო მონაცემების ანალიზის“ სახელწოდებით.

ხელოვნური ინტელექტის შესწავლა გულისხმობს ყველა ასაკის მოსწავლის (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) და მათი მასწავლებლების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებას ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რაშიც მოიაზრება ხელოვნური ინტელექტის ტექნიკები (მაგ. მანქანური სწავლება), ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები (მაგ. ბუნებრივი ენის დამუშავება), ასევე, სტატისტიკა და კოდირება, რომელზეც აბსოლუტურად ყველაფერია დამოკიდებული (მიაო და ჰოლმსი, 2021a). წინამდებარე პუბლიკაციაში, „ხელოვნური ინტელექტის შესწავლა“ შემდგომში მოხსენიებულია, როგორც **ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება: ტექნიკური ასპექტი**.

ხელოვნური ინტელექტისთვის მომზადება უზრუნველყოფს მოქალაქეების მზაობას მათ ცხოვრებაზე ხელოვნური ინტელექტის შესაძლო ზემოქმედების მიმართ – რაც მათ დაეხმარება, თავი აარიდონ ცრუ აჟიოტაჟს და დამოუკიდებლად გაერკვნენ ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტის ეთიკა, მონაცემების მიკერძოებულობა, მონიტორინგი და პოტენციური ზეგავლენა პროფესიებზე. ფაქტობრივად, აუცილებელია, რომ ხელოვნური

ინტელექტისთვის მომზადება ყოველთვის იყოს ინტეგრირებული ხელოვნური ინტელექტის შესწავლის ფარგლებში; ხოლო მისი გამოცალკევება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას დაეთმობა იმდენი ყურადღება, რასაც ის ნამდვილად იმსახურებს, რათა არ იქცეს მხოლოდ ფორმალურ სავარჯიშოდ. წინამდებარე პუბლიკაციაში ხელოვნური ინტელექტისთვის მომზადება შემდგომში მოხსენიებულია, როგორც **ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება: ადამიანური ასპექტი**.

1.3. სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით

სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, სულ მცირე, 1980-იანი წლებიდან გახდა ხელოვნური ინტელექტისა და განათლების შესახებ აკადემიური კვლევების საგანი. „საერთაშორისო ჟურნალი განათლებაში ხელოვნური ინტელექტის შესახებ“ პირველად გამოქვეყნდა 1989 წელს, ხოლო „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის საერთაშორისო საზოგადოება“ (IAIED) დაარსდა 1993 წელს. თუმცა, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტს“ საფუძველი ჩაეყარა 1930-იან წლებში, როდესაც პირველად დაიწყო „სასწავლო მანქანების“ შექმნა და გაკეთდა პერსონალიზებული სწავლისა და მასწავლებლის დროის დაზოგვის შესახებ დაპირებები (უოთერსი, 2021).

როგორც აღინიშნა, **სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით** იყოფა სამ ნაწილად: მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტი, მასწავლებლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტი და დაწესებულების მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტი.

1.3.1. მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტი

უკვე სამი ათწლეულია, რაც კვლევები „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ შესახებ უმეტესწილად ფოკუსირებულია მოსწავლის ხელშემწყობ ხელოვნურ ინტელექტზე, რომელიც, განსაზღვრების თანახმად, მიზნად ისახავს მასწავლებლის ფუნქციების ავტომატიზებას, რათა მოსწავლემ შეძლოს მასწავლებლისგან დამოუკიდებლად სწავლა – ან ჰყავდეს საკუთარი, პირადი, ხელოვნური მასწავლებელი და შეძლოს Bloom 2-Sigma ეფექტის გამოყენე-

ბა.¹⁸ თუმცა ბევრი ხელოვნური ინტელექტი საკმაოდ პრიმიტიულ მიდგომას იყენებს პედაგოგიკისადმი და ძალიან ხშირად ორიენტირებულია ცუდი პედაგოგიური პრაქტიკის ავტომატიზებაზე, და არა ინოვაციებზე (მაგალითად, გამოცდების ფასილიტაცია, ნაცვლად შეფასებისა და აკრედიტაციის ინოვაციური გზების შემუშავებისა).

მიუხედავად ამისა, მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწრაფი ტემპით იკრებს პოპულარობას მეინსტრიმულ განათლებასა (ბეკერი, 2017; ჰოლმსი და სხვ. 2019; მიაო და ჰოლმსი, 2021a) და მასთან დაკავშირებულ სექტორებში (მაგ. იურიდიული განათლება, კარელი, 2018; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, გობერტი და სხვ. 2013; სტომატოლოგიური განათლება, მაჯუმიდარი და სხვ. 2018; სამედიცინო განათლება, სეპსაი და სეპსაი, 2020; და საინჟინრო განათლება, სილაპაჩოტი და სრისუფაბი, 2016). ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ფართო კვლევითი საზოგადოების მიერ უკვე დადასტურდა მოსწავლის მხარდამჭერი სხვადასხვა ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეფექტურობა, თუმცა, როგორც წესი, ეს მოხდა მცირე კვლევებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩატარდა შემზღუდულ კონტექსტში, უნივერსიტეტებში ან უფროს კლასებში¹⁹ (მაგ. ბილი და სხვ. 2007; გობერტი და სხვ. 2018; მენდიცინო და სხვ. 2009; ვენლენი და სხვ. 2005)²⁰ და რომლებიც შემდგომ შეჯამდა მეტაანალიზებში (მაგ. მა და სხვ. 2014). თუმცა მყარი და დამოუკიდებელი მტკიცებულებების სიმწირე მაინც აშკარად სახეზეა. შესაბამისად, ბევრი განცხადება (როგორცაა „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განათლების სფეროში მკვეთრად გააუმჯობესებს მოსწავლეთა მოსწრებას“, დევისი და სხვ. 2020; OECD, 2021; სელდონი და აბაიდი, 2018) კვლავ რჩება მხოლოდ მისწრაფებად (ჰოლმსი და სხვ. 2019).

18. ამერიკელმა მკვლევარმა, ბენჯამინ ბლუმმა დაადგინა, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც უტარდებოდათ ინდივიდუალური გაკვეთილები, მიაღწიეს ორი სტანდარტული გადახრით უფრო მეტ პროგრესს, ვიდრე მოსწავლეებმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საკლასო სწავლებაში. ეს დაკვირვება საფუძვლად დაედო განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის მკვლევართა სამეცნიერო საზოგადოებას, რომელმაც მიზნად დაისახა მანქანური მოწყობილობით მართული ან ავტომატიზირებული ინდივიდუალური სწავლების შექმნა (ნაწილობრივ იმიტომ, რომ ადამიანის მიერ მიწოდებული ინდივიდუალური გაკვეთილები ძვირი სერვისია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც შორეულ ადგილებში ცხოვრობენ). იხილეთ ბლუმი (1984).

19. „ცოტა კვლევა არსებობს ITS პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც შეიქმნა საკლასო გარემოში გამოსაყენებლად“ (ბილი და სხვ. 2010: 66).

20. გობერტი და სხვ. (2018) დაამტკიცეს INQ-ITS ტექნიკის მხარდაჭერის ეფექტურობა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განსავითარებლად, მას შემდეგ, რაც მხარდაჭერის დასრულებიდან 40 დღის შემდეგ მსმენელებმა კვლევითი უნარების მუდმივი გაუმჯობესება აჩვენეს.

მოსწავლის ხელშემწყობი ხელოვნური ინტელექტი მრავალი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და ამჟამად მოიცავს, მაგალითად, ადაპტურ სასწავლო ინსტრუმენტებს ისეთი „კომპლექსური დომენებისთვის, როგორებიცაა პროგრამირების ენა, მათემატიკა, მედიცინა, ფიზიკა, ავიონიკის პრობლემების მოგვარება, ცელულოზისა და ქალაქის მწარმოებელი ფაბრიკები და ელექტრონიკა“ (ვოსონი, 1997:572); საკლასო სიგნალების ფართო სპექტრის დაფიქსირება და ანალიზი (მაგ. ყურადღების, ემპათიის და ემოციების გაზომვა), მოწყობილობების ფართო დიაპაზონის გამოყენება (მობილური ტელეფონიდან დაწყებული ელექტრონულ ცელოფანოგრაფიული მოწყობილობით დამთავრებული), ჩატბოტები მოსწავლისთვის 24/7 დახმარების გასაწევად, სასწავლო ქსელის ორკესტრატორები მოსწავლეთა ჯგუფების შესაქმნელად, წერიტი ნაშრომის ავტომატური შეფასება, ღია მოსწავლის მოდელი (მოსწავლეს შეუძლია, შეამოწმოს და უკეთ გაიაზროს, თუ როგორ სწავლობს) და მასწავლებლის მხრიდან კონტროლის ფუნქცია მუდმივი მონაცემთა პანელის საშუალებით (ჰოლმსი და სხვ. 2018; ტუომი, 2018; ვულფი, 2010).

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მუდმივად მზარდა მთელ მსოფლიოში, რაზეც მოწმობს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ შემსწავლელი, მრავალი მილიონი დოლარით დაფინანსებული, კვლევითი ორგანიზაციების რაოდენობა გლობალური მასშტაბით²¹, რეალურად, გარდა მარკეტინგული მასალებისა და პოლიტიკის შემქმნელების მიერ გამოთქმული დაუსაბუთებელი იმედებისა, ძალზედ ცოტა მტკიცებულება არსებობს იმის, რაც დაასაბუთებდა მისი ფართო გამოყენების სარგებლიანობას კარგად აღჭურვილ საკლასო გარემოში (მიაო და ჰოლმსი, 2022).

„ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“ (AIED) საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ერთ-ერთი განვითარებადი სფეროა. მიუხედავად იმისა, რომ ის, დაახლოებით, 30 წელია, უკვე არსებობს, პედაგოგებისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, თუ როგორ უნდა მიიღონ მისგან ფართომასშტაბიანი პედაგოგიური სარგებელი, ან როგორ მოახერხებს ხელოვნური ინტელექტი რეალური ზეგავლენის მოხდენას სწავლა-სწავლების პროცესზე (ზავაკი-რიხტერი და სხვ. 2019: 1).

ფაქტობრივად, უახლეს კვლევებში (მაგ. მონაცემთა ეთიკისა და ინოვაციების ცენტრი, 2020; ტუომი, 2018) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არსებობს ხელოვნ-

21. 2015 წელს სასკინდმა და სუსკინდმა აღმოაჩინეს, მინიმუმ, 70 კომპანია, რომელიც ახდენდა ადაპტური სასწავლო სისტემების მიწოდებას. ამჟამად არსებული კომპანიები იხილეთ დანართში V.

ნური ინტელექტის ტექნიკური, სოციალური, სამეცნიერო და კონცეპტუალური შეზღუდვები საგანმანათლებლო სისტემებში და, ასევე, მითითებულია, რომ ძალზედ ცოტაა ძლიერი, დამოუკიდებელი მტკიცებულება იმისა, თუ რაოდენ ეფექტურად ან წარმატებით აღწევენ ისინი დასახულ მიზნებს. თუმცა აღსანიშნავი გამოწვევისა და დისტანციურ მუშაობაზე ორიენტირებული ITS ASSISTments²² (როშელი და სხვ. 2017), გეომეტრიის Cognitive Tutor²³ (პეინი და სხვ. 2010) და Multi Smart Øving²⁴ (ეგელანდსდალი და სხვ. 2019; კინიგოსი, 2019).

არგუმენტი იმის შესახებ, რომ ხელოვნური ინტელექტი უნდა იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა მხარდასაჭერად ისეთ ადგილებში, სადაც ცოტაა გამოცდილი ან კვალიფიციური მასწავლებელი, მაგალითად, განვითარებადი ქვეყნების სოფლები, მართლაც რომ ძლიერი არგუმენტია. თუმცა მასწავლებლის ჩამნაცვლებელი ტექნოლოგიების გამოყენება უფრო მეტად ფოკუსირებულია პრობლემის სიმპტომზე (ბავშვებს აქვთ განათლების უფლება, თუმცა ვერ სარგებლობენ მისით) და არა მიზეზზე (მასწავლებელთა გლობალური დეფიციტი). მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების გარკვეულმა რაოდენობამ, შესაძლოა, მართლაც ისარგებლოს ხელოვნური ინტელექტით, ჯერ მაინც უცნობია, თუ რა იქნება ამ ტექნო-სოლუციონისტური მიდგომის გამოყენების გრძელვადიანი ეფექტი, სოციალური პრობლემების მოგვარების კუთხით (მოროზოვი, 2014).

გარდა ამისა, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ დეველოპერები, როგორც წესი, დაფუძნებულები არიან მაღალშემოსავლიან WEIRD ქვეყნებში (ქართულ ენაზე იშინებოდა: დასავლური, განათლებული, ინდუსტრიალიზებული, მდიდარი და დემოკრატიული. პინკვარტი, 2016) და, შესაბამისად, ნაკლებად იცნობენ განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებს (სკიფი, 2021). ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამის კონკრეტული მტკიცებულება, სავარაუდოდ, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტი“ განიცდის იმავე მრავალფეროვნების დეფიციტს, რაც, ზოგადად,

-
22. ASSISTments შემუშავდა ვორსესტერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ, <https://new.assistments.org/research>.
 23. CMU-ში ჩატარებული კვლევის შედეგად და გამოქვეყნდა www.carnegielearning.com-ის მიერ.
 24. ციფრული სასწავლო ინსტრუმენტი მათემატიკაში სავარჯიშოდ, დაწყებითი სკოლის 1-7 კლასებისთვის, www.gyldendal.no/grunnskole/matematikk/multi-smart-oving.

ხელოვნურ ინტელექტს ახასიათებს (უესტი და სხვ. 2019). ეს ყველაფერი კი პოტენციურად იწვევს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ მონაცემებისა და ალგორითმების მიკერძოებულობას და უზუსტობას. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემებისა და ალგორითმების მიკერძოებულობის საკითხი დღემდე მრავალი კვლევის საგანი გამხდარა (მაგ. ბეიკერი და ჰოუნი, 2021; სურეში და გუთაგი, 2019), მიკერძოებულობა რეალურად არის სოციალური პრობლემა, რომელიც შესაძლოა არასდროს გადაიჭრას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (პაულესი, 2018).

და ბოლო საკითხი, რომელიც უნდა აღინიშნოს მოსწავლის ხელშემწყობი ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში, არის ნდობა. თუკი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები კიდევ უფრო ფართოდ დაინერგება სკოლებში, აუცილებელია, რომ მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ირწმუნონ, რომ ისინი ჭეშმარიტად სარგებლის მომტანი იქნება – რომ ისინი გააძლიერებენ და არ დაამიანებენ სასწავლო პროცესს. ფაქტობრივად, საკლასო გარემოსთვის შექმნილი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მიმართ დაინტერესებულ მხარეთა ნდობის შესახებ დისკუსია მხოლოდ ახლა იღებს სტარტს. თუმცადა პასუხისმგებლობის ტვირთი ძალიან ხშირად ეკისრება საკლასო გარემოსთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებს (რომ ჰქონდეთ ნდობა მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მიმართ) და არა პროვაიდერებს (რომ მიაწოდონ მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის სანდო ინსტრუმენტები). მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო კვლევაში, შემოთავაზებული იქნა რვა ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მასწავლებლის ნდობას ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სასწავლო ინსტრუმენტების მიმართ; ამასთან, ყველა ფაქტორი ფოკუსირებულია მასწავლებელზე და არცერთი არ სთხოვს ხელოვნური ინტელექტის დეველოპერებს, უზრუნველყონ ინსტრუმენტების სანდოობა (ნაზარეკი და სხვ. 2021); მოკლედ, ევროკომისიის მიერ მომზადებული „სანდო ხელოვნური ინტელექტის ეთიკის სახელმძღვანელო“²⁵ უნდა გავრცელდეს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ სისტემებზეც.

25. ევროკომისია (2019), საკომუნიკაციო ქსელების, კონტენტისა და ტექნოლოგიების გენერალური დირექტორატი, „ეთიკის სახელმძღვანელო სანდო ხელოვნური ინტელექტისთვის“, გამომცემლობა, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d3988569-0434-11ea-8c1f-01aa75ed71a1>.

1.3.2. მასწავლებლის მხარდაჭერის ხელშეწყობის ინსტრუმენტი

ბევრი ავტორი და სახელმწიფო ორგანო გამოთქვამს იმედს, რომ ხელოვნური ინტელექტი დაზოგავს მასწავლებლის დროს (ბრაიანტი და სხვ. 2020; მიაო და ჰოლმსი, 2021b), ხოლო სხვები კი ვარაუდობენ, რომ ხელოვნური ინტელექტი რაღაც მომენტში მასწავლებლის დე ფაქტო უსარგებლობას გამოიწვევს – ან მოახდენს მისი ფუნქციის რეკონფიგურირებას საკლასო ორკესტრატორად/ტექნოლოგიების ფასილიტატორად, რომელსაც დაევალება მხოლოდ მოსწავლის ყოფაცქევის კონტროლი ან მოწყობილობის ჩართვა-გამორთვა (მაგ. სელდონი და აბაიდოი, 2018). რეალობა კი ის არის, რომ, ოცდაათ წელზე მეტია, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ შესახებ ჩატარებული კვლევებისა და განვითარების უმეტესობა ფოკუსირებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე, უშუალოდ, მოსწავლის დასახმარებლად და სწავლის გასაუმჯობესებლად, როგორც წესი, მასწავლებლის ფუნქციების საკუთარ თავზე ალებით (უფრო სწორად, ჩანაცვლებით), მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ადაპტური სწავლების მეშვეობით (დუ ბულიე, 2016).

ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ძალიან მცირე ყურადღება ეთმობოდა სპეციალურად მასწავლებლის მხარდასაჭერად შექმნილ ხელოვნურ ინტელექტს (გარდა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში ფართოდ გავრცელებული პანელებისა, ჰოლსტეინი და სხვ. 2018; ჯივეტი და სხვ. 2017). თუმცა ახლახან გამოქვეყნდა კვლევები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი ინტერნეტში რესურსების კურიერებისთვის (მაგ. X5Learn, პერეს-ორტისი და სხვ. 2020) და ინსტრუმენტები, რომელთა მიზანია მასწავლებლის პრაქტიკის ანალიზი და მხარდაჭერა, დროის მენეჯმენტი და კურსის დაგეგმვა (მაგ. ჩუნტა და სხვ. 2021; ჰოლსტეინი და სხვ. 2017; მარტინეს-მალდონადო და სხვ. 2021). მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულის ძალიან მცირედი ნაწილი გახდა ფართოდ ხელმისაწვდომი ან იქნა ათვისებული კომერციული მოთამაშეების მიერ.

მრავალი წელია, დიდი ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტის ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა მიზანია მოსწავლის დავალების ავტომატური შეფასება, ძირითადად კი, მასწავლებლის დროის დაზოგვის მიზნით (რაც ნათლად აჩვენებს, რომ მართალია, მასწავლებლის მხარდაჭერი/მოსწავლის მხარდაჭერი კატეგორიები ძალიან სასარგებლოა, ისინი სულაც არ არის

ხისტი). თუმცა, ხელოვნურ ინტელექტს არ ძალუძს სიღრმისეული ინტერპრეტაციის ან ზუსტი ანალიზის გაკეთება, რისი უნარიც აქვს მასწავლებელს (ბირნი და სხვ. 2010; ჰოლმსი და სხვ. 2019), ანუ ეს არის პრობლემა, რამაც აიძულა ავსტრალია, უარი ეთქვა სახელმწიფო გამოცდების ავტომატური შეფასების გეგმაზე 2018 წელს (ჰენდრი, 2018). დავუშვათ, რომ ხელოვნურ ინტელექტს მართლაც შეეძლოს თავისუფალი ტექსტის სამართლიანი და ზუსტი შეფასება, თუმცა ასეთი სისტემა მაინც ვერ მოახერხებს იმას, რასაც მასწავლებელი ხვდება მოსწავლის შესახებ, მისი ნაწერის გაცნობისას – იღებს ისეთ ინფორმაციას, რომლის მიღებასაც ვერასდროს ვერანაირი სისტემა ვერ შეძლებს. სწორედ ესაა ჩადებული ახალ მიდგომაში, რომლის შესწავლაც ნამდვილად ღირს, რადგან ის იყენებს ხელოვნურ ინტელექტს მასწავლებლის დასახმარებლად და სთავაზობს ავტომატურ მინიშნებებსა და მალსახმოობებს, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის ნამუშევარს აფასებს (ანუ მასწავლებელი აკეთებს შეფასებას, ხოლო ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ ეხმარება მას ამ პროცესში).²⁶ ასევე, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება დავალების შეფასებისთვის – ხელოვნური ინტელექტი მოსწავლეს აწვდის რჩევებს, თუ როგორ გააუმჯობესოს დავალების „შავი“ ვარიანტი, სანამ წარადგენს მას შემჯავებელი შეფასებისთვის – რაც სულ უფრო ხშირად ხდება მკვლევრების ინტერესის სფერო.²⁷ მოკლედ, ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება დაზოგოს მასწავლებლის დრო, თუმცა ამის მტკიცებულება ჯერ კიდევ ძალზე ცოტაა, ასევე, არ არის მკაფიოდ დადგენილი, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ხელოვნურმა ინტელექტმა სწავლა-სწავლების ხარისხზე.

1.3.3. დანერგვის მხარდამხმარი ხელოვნური ინტელექტი

მართალია, არსებობს მცირე მტკიცებულება იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება უშუალოდ დაწყებითი ან საბაზო-საშუალო განათლების დაწესებულებების მხარდასაჭერად, უახლესი ლიტერატურის სისტემატურმა მიმოხილვამ, უმაღლეს სასწავლებლებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე, (ზავაკი-რიხტერი და სხვ. 2019) ცხადჰყო, რომ კვლევების თითქმის ნახევრის (48%) ფარგლებში, შესწავლილ იქნა ხელოვნური ინტე-

26. www.graide.co.uk.

27. ბოლტონის კოლეჯი, დიდი ბრიტანეთი, AI Cloud FirstPass ინსტრუმენტი, <https://ufi.co.uk/voctech-directory/formative-assessment-bolton-college>; და „შეფასების სტანდარტების ცოდნის გაზიარება“, ოქსფორდის ბრუკსის უნივერსიტეტი (2021), Turnitin-ის გამკვლევები, <https://radar.brookes.ac.uk/radar/file/8ff7698b-72a1-9750-b982-1cc9080b421a/2/Turnitin.pdf>.

ლექტის მხარდაჭერა ადმინისტრაციული და ინსტიტუციური სერვისებისთვის. არსებობს დაწესებულების მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის სამი ძირითადი ტიპი, რომელთა ფუნქციაში შედის მსმენელთა მიღებასთან დაკავშირებული პროცესების ავტომატიზაცია, მსმენელებთან კომუნიკაცია და რესურსების გადანაწილების დაგეგმვა.

უმაღლესი განათლების მიმწოდებელი დაწესებულებები, ძირითადად აშშ-ში, იყენებენ ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილ პროგრამულ უზრუნველყოფებს (როგორც წესი, შეთავაზებულია კერძო კომპანიების მიერ) მსმენელთა მიღების პროცესის გასამართივებლად.^{28,29} მაგალითად, ქალაქ ოსტინში ტეხასის უნივერსიტეტმა დანერგა ხელოვნური ინტელექტის სისტემა, სახელად GRADE, რომელიც იძლეოდა რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო კონკრეტული აპლიკანტის მიღება მისი ტესტირების შედეგების, წინარე აკადემიური მოსწრებისა და წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე, როგორიცაა სარეკომენდაციო წერილი (უოთერსი და მიიკულაინენი, 2014). თუმცა, 2020 წელს, GRADE-ის გამოყენება შეწყდა, გამოვლენილი ხარვეზების გამო.³⁰ მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო ხშირად გამოიყენება მსმენელთა მიღების პროცესის გასამართივებლად, რა დროსაც აქცენტი კეთდება სამართლიანობასა და დაწესებულების რეპუტაციაზე (დენისი, 2018; მარცინკოვსკი და სხვ. 2020; ზეილი, 2019).

დაწესებულების მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჩატბოტების გამოყენება მსმენელებთან კომუნიკაციის გასამართივებლად და 24/7 მომსახურების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დანერგა ჩატბოტი, სახელწოდებით Pounce, რათა დახმარებოდა სტუდენტებს, რომლებსაც სჭირდებოდათ მხარდაჭერა და კონსულტაცია, კერძოდ კი მათ, რომლებიც იმყოფებოდნენ სკოლიდან კოლეჯში გადასვლის ეტაპზე და ნაკლებად იცნობდნენ

28. „აშშ დღეს“ (2021), „ხელოვნური ინტელექტი აფასებს თქვენს „ნევროტიზმს“? კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კოლეჯების ახალ გარემოში“, <https://eu.usatoday.com/story/news/education/2021/04/26/ai-infiltrating-college-admissions-teaching-grading/7348128002>.
29. დ. პანგბურნი (2019), „სკოლები იყენებენ პროგრამულ უზრუნველყოფას, რათა დაადგინონ, თუ ვინ ჩაირიცხება. რა პრობლემა შეიძლება წარმოშვას ამან?“ www.fastcompany.com/90342596/schools-are-quietly-turning-to-ai-to-help-pick-who-gets-in-what-could-go-wrong.
30. UT ოსტინის კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის ტვიტი (2020), <https://twitter.com/UTCompSci/status/1333890167782957060>.

საუნივერსიტეტო ცხოვრებას (პეიჯი და გელბახი, 2017). აღნიშნული მიდგომა მალევე სხვა უნივერსიტეტებმაც გაიზიარეს.

მიუხედავად ამისა, განათლების სფეროში ჩატბოტების გამოყენების შესახებ ბოლოდროინდელი ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ მართალია კვლევითი ინტერესი დიდია ჩატბოტის, როგორც ასისტენტის მიმართ, მაინც არსებობს გამოწვევები და შეზღუდვები ამგვარი ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილი ტექნოლოგიების შეფასებასთან, პოტენციალთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს, სანამ დაიწყება ჩატბოტების ფართო დანერგვა (უოლნი და სხვ. 2021).

იმისათვის, რომ დაწესებულებებმა დაგეგმონ და გადაანაწილონ რესურსები, მნიშვნელოვანია, რომ მათ ზუსტად იცოდნენ მსმენელთა რაოდენობა და განაწილება. აქედან გამომდინარე, დაწესებულებები ახორციელებენ ინვესტიციებს ანალიტიკურ ინსტრუმენტებში, რათა წინასწარ განსაზღვრონ მსმენელთა მიერ სასწავლო დაწესებულების მიტოვების მაჩვენებელი. ამის ცნობილი მაგალითია პერდუს უნივერსიტეტის „კურსის სიგნალების“ სისტემა, რომელიც თავდაპირველად დადებითად ახერხებდა სტუდენტების შეკავებას (არნოლდი და პისტილი, 2012), თუმცა, ძალიან მალე დაიწყო დისკუსიები მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით (სკლეითერი, 2016). ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო დაწესებულების მიტოვების პროგნოზირებისათვის ასევე წარმოადგენს კვლევების პოპულარულ სფეროს, განსაკუთრებით, MOOC-ებში (ღია მასობრივი ონლაინკურსები), სადაც კურსის მიტოვების მაჩვენებელი 90 პროცენტზე მეტსაც კი აღწევს. ჩვენი მიზანია სკოლის მიტოვების მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება, პროგნოზირება და, შესაბამისად, მათი შემცირება (დალიპი და სხვ. 2018; ფენგი და სხვ. 2019; გოელი და გოიალი, 2020), მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სისტემების ეფექტურობის შესახებ მტკიცებულებები ჯერ კიდევ არასაკმარისია, ხოლო კავშირები წინასწარმეტყველური ან მიზეზშედეგობრივი.

1.4. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლის შესწავლის მიზნით

1.4.1. სიფრული კვალი

როგორც უკვე აღინიშნა, ხელოვნური ინტელექტის ბოლოდროინდელი, სწრაფი ზრდა ნაწილობრივ შესაძლებელი გახდა უზარმაზარი რაოდენო-

ბის მონაცემების ხელმისაწვდომობის წყალობით (ხშირად ცნობილი, როგორც „დიდი მონაცემები“). ამჟამად, ხელოვნური ინტელექტის სისტემები, ანალოგიური წესით, დამოუკიდებლად აგროვებენ დიდი რაოდენობით მონაცემს. რაც შეეხება „განათლებაში ხელოვნურ ინტელექტს“, მონაცემები მოიცავს მოსწავლეების მიერ გაცემულ პასუხებს, მათ სასაუბრო თემებს, ემოციურ მდგომარეობას (მაგ. დაინტერესებულნი არიან თუ ყურადღებაგაფანტულნი), რაზე აწკაპუნებენ და როგორ ამოძრავებენ მათს ეკრანზე და ა.შ (ჩასიგნოლი და სხვ. 2018). ერთი სესიის განმავლობაში, როდესაც ბავშვი ურთიერთქმედებს ხელოვნურ ინტელექტთან ან სხვა ელექტრონულ საგანმანათლებლო სისტემასთან (როგორცაა MOOC ან სერიოზული თამაში, ვანგი და სხვ. 2020), ხორციელდება, „დაახლოებით, 5-10 მილიონი ქმედითი მონაცემის გენერირება, თითო მოსწავლეზე, ყოველდღიურად“.³¹ აღნიშნულ მონაცემებს ერთობლივად ეწოდება „მოსწავლის ციფრული კვალი“ (პარდო და სხვ. 2019)³² და წარმოადგენს სამი ურთიერთშემავსებელი და ხშირად გამჭოლი აკადემიური სფეროს ინტერესის საგანს: სწავლის ანალიტიკა და სასწავლო მონაცემების ანალიზი, რაც „გულისხმობს მოსწავლისა და სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და ვიზუალიზაციას, რათა გაიზარდოს დაინტერესებულ მხარეთა ცოდნა ამ ყველაფრის შესახებ და, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესი და გარემო, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს“ (დუ ბული და სხვ. 2018: 270) და „ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“, რომელიც იყენებს მსგავს მონაცემებს, თუმცა მხოლოდ ავტომატიზაციის მიზნებისთვის (მაგ. ადაპტური სასწავლო პლატფორმა).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული მიმართულებები („ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“, სწავლის ანალიტიკა და სასწავლო მონაცემების ანალიზი) მრავალი წლის განმავლობაში ვითარდებოდა, მონაცემების მოპოვება და დამუშავება მოსწავლეებისა და სწავლების შესახებ მაინც ბევრ კითხვას ბადებს, რომელზეც ვერ კიდევ არ არის პასუხები სრულად გაცემული. პროგნოზირებადი ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლასში მოსწავლის მონაწილეობის შაბლონების დასაიდენ-

31. ჰოსე ფერეირა, Knewton-ის აღმასრულებელი დირექტორი, ITS კომპანია, სიტყვით გამოსვლა Ed Tech-ის ოფისში, თეთრი სახლის განათლების Datapalooza-ის ღონისძიებაზე, 2012 წელი, www.youtube.com/watch?v=GeajedxpWJA.

32. მაგალითისთვის, თუ როგორ გამოიყენება ციფრული კვალი, იხილეთ PISA-ს ქულების პროგნოზირება მოსწავლეთა ციფრულ კვალზე დაყრდნობით, <https://ojs.aaai.org/index.php/ICWSM/article/view/14996>.

ტიფიცირებლად, მასზე ზემოქმედების მიზნით, დაწესებულებაში მსმენელთა დასაშვებად ან არდასაშვებად, ასევე, ჩართულობის შაბლონების დასადგენად ეროვნულ დონეზე. კითხვები არის შემდეგი: ვის აქვს უფლება, შეაგროვოს ციფრული კვალი, როგორ ხორციელდება ამ მონაცემების სასარგებლო ცოდნად გარდაქმნა, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ან უკვე გამოიყენება ეს ცოდნა, ვის აქვს მასზე წვდომა და ვინ იყენებს ამ ცოდნას, ან ვინ იღებს მისგან სარგებელს? როგორც ჩანს, მართალია ჯერ კიდევ მცირე მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ მონაცემების ანალიტიკა და შედეგად მიღებული ვიზუალიზაცია ქმედითუნარიანია და აუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს (ფერგიუსონი და სხვ. 2016), სავარაუდოდ, ყველაზე მეტ სარგებელს მაინც მოსწავლე იღებს. თუმცა იგივე შეიძლება ითქვას „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ პროვაიდერებზე, რაც აჩენს დამატებით კითხვებს: რა სარგებელს იღებენ „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ პროვაიდერები, როგორ იყენებენ ისინი ამ მონაცემებს ბიზნესანალიტიკის მიზნებისთვის, ასევე, რა სახით, თუკი საერთოდ აისახება ეს ყველაფერი მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, სკოლასა ან განათლების სისტემაზე ზოგადად?

1.4.2. ჩა ინფორმაციას ილახან კომუნიკაციის ორგანიზაციები

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს კვლევების საგანს. თუმცა, თითქმის ათი წელია, რაც „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ინსტრუმენტებმა „თავი დააღწიეს“ ლაბორატორიებს, ხოლო ხელოვნური ინტელექტისა და განათლების სფეროში მოღვაწე, მრავალი მილიონი დოლარით დაფინანსებული კომპანიების დამსახურებით, ჩამოყალიბდნენ სწორედ იმ კომერციული პროდუქტებად მთელ მსოფლიოში, რომლებიც ამჟამად სკოლებში ინერგება. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი კვლევები ტარდებოდა აკადემიური წრეების მიერ სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მოტივით, უნდა გვქონდეს კი რწმენა, რომ მრავალი თანამედროვე კომერციული პროდუქტი სანდოა? ხომ არ გადაფარა პოზიტიური ზრახვები კომერციულმა იმპერატივებმა? იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვების ურთიერთქმედება ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან წარმოშობს როგორც ტექნიკურ ცოდნას, თუ როგორ მუშაობს პროდუქტი, ასევე, ბაზრის ცოდნას, თუ როგორ გამოიყენება პროდუქტი, ხომ არ ხდება გაკვეთილზე მყოფი ბავშვების ფარული რეკრუტირება მსოფლიო მასშტაბით, რათა მათ შექმნან და მიაწოდონ ბიზნესკომპანიებს ანალიტიკური ინფორმაცია კორპორაციების შემოსავლების გასაზრდე-

ლად – და ხომ არ წარმოადგენს ეს უფრო მაღალ პრიორიტეტს, ვიდრე ბავშვების განათლება და კოგნიტური განვითარებაა? თუკი ბავშვი ქმნის გამოსახულებას ან წერილობით ნამუშევარს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებაც (IPR), წესით, მას ეკუთვნის. მაშ, რატომ ითვისებენ კომერციული ოპერატორები ბავშვის მიერ შექმნილ ინტელექტუალურ საკუთრებას? პედაგოგებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ასევე, უწევთ კორპორაციების ჰიპერბოლური განცხადებების გათვალისწინებაც. მაგალითად, IBM წერს, რომ მათი აპლიკაცია Watson’s Education Classroom მასწავლებელს ეხმარება, მიიღოს „შთამბეჭდავი შედეგები“ გაკვეთილზე, თუმცა, ამ განცხადების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მყარ ან დამოუკიდებელ მტკიცებულებას არ გვთავაზობს.³³

გარდა ამისა, კერძო კომპანია, თავისი არსით, ნიშნავს, რომ ის, როგორც წესი, არ უზიარებს სხვებს საკუთარი სისტემების მუშაობის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგებს. ეს კი ზღუდავს ფუნქციურ თავსებადობასა და შესაძლებლობას, რომ ჩატარდეს ეფექტურობის აუდიტი. კერძოდ, ინფორმაცია „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ პროდუქტების ეფექტურობის ან მიკერძოებულობის შესახებ, ფაქტობრივად, გაუმჭვირვალეა, რაც ნიშნავს, რომ მათი დანერგვა საჯარო განათლების სექტორში ხორციელდება შეზღუდული მტკიცებულებების ან ზედამხედველობის ფონზე. ასევე, არსებობს ბევრი საგანმანათლებლო პროდუქტი, რომელთა მწარმოებლები აცხადებენ, რომ იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამება („დამიცავი ციფრული მე“, 2020). ამგვარი ინფორმაციული ასიმეტრია არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას, შესყიდვების, კონტროლისა და სახელმწიფო რესურსების ხარჯვის შესახებ ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.

ცოდნისა და ძალაუფლების საჯარო სექტორიდან კერძო სექტორისთვის გადაცემამ, შესაძლოა, ასევე, გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ ჩამოაყალიბებენ მომავალი საგანმანათლებლო სისტემები ბავშვებს, საზოგადოებას, ეროვნულ სახელმწიფოებს – ასევე, ცალკეული მოსწავლის ცხოვრებას. იმავდროულად, მულტინაციონალური კომპანიები და მათი პროდუქტები არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსწავლეებისა და მასწავლებლების ფორმირებას ახდენენ, არამედ განსაზღვრავენ მმართველობასა და ეროვნულ პოლი-

33. www.ibm.com/common/ssi/cgi-bin/ssialias?htmlfid=897/ENUS218-010&infotype=AN&subtype=CA.

ტიკასთან დაკავშირებული დღის წესრიგის საკითხებს: „მომავალში ისინი დააწესებენ თავიანთ სტანდარტებს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთოდ რა ჩაითვლება ცოდნად. ცოდნა არის ან იქნება ის, რაც არის ან შეიძლება ფორმალიზდეს ავტომატიზირებული გზით“ (ბეიკერი, 2000: 127). მართალია, არსებობს გარკვეული ლიტერატურა იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციას იღებენ „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ კომპანიები მოსწავლეების მიერ მათი სისტემების გამოყენების შედეგად, ასევე, თუ სად მიედინება ეს ინფორმაცია და რისი მიღება შეიძლება ამგვარი ინფორმაციიდან (მაგ. კომლენოვიჩი, 2021), თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვანია, თუ რა გავლენას ახდენს ან როგორ აყალიბებს აღნიშნული ჩვენს აღქმას, თუ როგორ ხორციელდება სასწავლო პროცესი, როგორ უნდა შეიცვალოს სწავლება და როგორ უნდა გაიზომოს სწავლა. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტისა და განათლების კომპანიები საიდუმლოდ ინახავენ ამ ინფორმაციას.

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში ზოგჯერ საუბარია მოსწავლეთა უნარებისა და ავტონომიის შემცირებაზე, განათლებაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის შედეგად (უილიამსონი, 2019), ძალიან ცოტა კვლევა თუ ანალიზებს ეროვნული სახელმწიფოების შემცირებულ უნარებსა და ავტონომიას პოლიტიკის განსაზღვრისას, თუ რა შეისყიდონ ან, ზოგადად, რა შედეგების მიღწევა სურთ სასკოლო სისტემების მეშვეობით. დაბოლოს, საკვანძო საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად უნდა მოიცავდეს ხელოვნური ინტელექტისა და განათლების მართვის მოდელები კომერციულ ან დახურულ სისტემებს, რომლებიც, მართებულად თუ არამართებულად, ჩინეთის მთავრობამ დაბლოკა (მაკმოროუ და სხვ. 2021), ან რამდენად მიზანშეწონილია, სახელმწიფომ წაახალისოს ღია და თავსებადი სისტემები.

1.5. ხელოვნური ინტელექტის უსწავლა (ხელოვნური ინტელექტის ნივნიერება)

1.5.1. ხელოვნური ინტელექტის ნივნიერების ორი ასპექტი

ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების როგორც ტექნიკური, ასევე, ადამიანური ასპექტების განხილვის მიზნით, წინამდებარე ლიტერატურის მიმოხილვა მთლიანად დაეყრდნობა მიაოსა და ჰოლმისს (2021a) ნაშრომს. შესაბამისად, ამ ორ განზომილებას კვლავ დავყოფთ ორ ნაწილად, კერძოდ, „ხელოვნური ინტელექტის შესწავლა“ და „მომზადება ხელოვნური ინტელექტისთვის“, რათა გარანტირებულად უზრუნველვყოთ, რომ ადამიანური ასპექტი არ იქნეს მივიწყებული, არამედ თანაბარზომიერად განვიხილოთ, ტექნიკურ ასპექტთან ერთად.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ინვესტირება ფართო საზოგადოებაში ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების დონის გასაუმჯობესებლად, ცნობიერების ამაღლების, ტრენინგებისა და ძლიერი საგანმანათლებლო ღონისძიებების შეთავაზების გზით, მათ შორის, (და განსაკუთრებით) სკოლებში. ამ ძალისხმევის ფოკუსი არ უნდა იყოს მხოლოდ ცოდნის მიწოდება ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირების შესახებ, არამედ, ასევე, ინფორმირება ხელოვნური ინტელექტის პოტენციური ზეგავლენის – დადებითი და უარყოფითი – შესახებ ადამიანის უფლებებზე. (ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, 2019: 14)

გარდა ამისა, რეკომენდებულია (ჰოლმსი და სხვ. 2019), რომ ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ორივე ასპექტი ურთიერთდაკავშირებული სახით იქნეს შეტანილი სკოლებში: რათა ადამიანური ასპექტი არ გადაიქცეს ერთგვარ სასიამოვნო, თუმცა არაარსებით დანამატად. ფაქტობრივად, როგორც ტექნიკური, ასევე, ადამიანური ასპექტები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ისტ-ის განვითარების მთლიანი პერიოდის განმავლობაში, თუმცა ადამიანურ ასპექტს იშვიათად ეთმობოდა სათანადო ყურადღება. ამჟამად, იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნური ინტელექტის მიზანი, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის კოგნიტური პროცესების იმიტირება ან უკეთ შესრულება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელოვნური ინტელექტის ადამიანური ასპექტის ტექნიკურ ასპექტთან გათანაბრება.

ამ დისკუსიის დეტალური წარმართვისათვის, ასევე იმისათვის, რომ მკაფიოდ გავარკვიოთ, თუ რა უნდა ისწავლებოდეს ხელოვნური ინტელექტის შესახებ, ჯერ უნდა დავადგინოთ, თუ რამდენად ესადაგება ხელოვნური ინტელექტი განათლებას. ეს კი, თავის მხრივ, ბადებს კითხვას, თუ რა არის განათლების დანიშნულება და, ზოგადად, რა უნდა ისწავლებოდეს.

1.5.2. განათლების დანიშნულება

ზოგადად, ითვლება, რომ განათლების უპირველესი დანიშნულება ადამიანური კაპიტალის უზრუნველყოფაა ეკონომიკისათვის.³⁴ თუმცა, ასევე, მიჩნე-

34. მაგალითად, ევროკავშირის სოციალური უფლებების ევროპული ქარტია (2021) იწყება განცხადებით: „ნებისმიერ ადამიანს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღების უფლება“, რომლის მიზანსაც ეკონომიკური ფაქტორი წარმოადგენს: „იმისთვის, რომ შეინარჩუნონ და შეიძინონ უნარები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წარმატებულად გადავიდნენ შრომით ბაზარზე“. აღნიშნული განსხვავდება ადამიანის განათლებისადმი ფუნდამენტური უფლების მიზნისგან, https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/economy-works-people/jobs-growth-and-investment/european-pillar-social-rights/european-pillar-social-rights-20-principles_en.

ნეულია, რომ განათლება, ძირითადად, ცოდნის გადაცემას ემსახურება, ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ სკოლის მოსწავლეებმა მიიღონ შინაარსი, რომელსაც მათთვის განსაზღვრავენ პოლიტიკის შემქმნელები, შეარჩივენ კურიკულუმის ავტორები, შეფუთავენ სახელმძღვანელოების გამომცემლები, მიაწვდიან მოსწავლელები და შეაფასებენ გამოცდები, რაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს მოსწავლის მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მიზანს (მიაო და ჰოლმსი, 2021a). თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც უფრო ფართოდ უყურებენ აღნიშნულ საკითხს.

მაგალითად, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციაში³⁵ ნათქვამია, რომ „განათლება მიმართული უნდა იყოს: (ა) ბავშვის პიროვნული თვისებების, ნიჭიერებისა და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებისაკენ“. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა (2015) დაადგინა, რომ განათლება ფოკუსირებული უნდა იყოს ე.წ. 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებზე, მათ შორის, ფუნდამენტურ წიგნიერებებზე, კომპეტენციებსა და პიროვნული თვისებების განვითარებაზე:

- ▶ ფუნდამენტური წიგნიერება (თუ როგორ იყენებენ მოსწავლეები ძირითად უნარებს ყოველდღიური ამოცანების შესასრულებლად): წერაკითხვის უნარი, არითმეტიკა, მეცნიერული წიგნიერება, ისტ-ის წიგნიერება, ფინანსური წიგნიერება და კულტურული და სამოქალაქო წიგნიერება;
- ▶ კომპეტენციები (თუ როგორ უმკლავდებიან მოსწავლეები რთულ გამოწვევებს): კრიტიკული აზროვნება/პრობლემის გადაჭრა, კრეატიულობა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
- ▶ პიროვნული თვისებები (თუ როგორ უმკლავდებიან მოსწავლეები ცვალებად გარემოს): ცნობისმოყვარეობა, ინიციატივიანობა, თავდაჯერებულობა, მოქნილობა, ლიდერობა, სოციალური და კულტურული ცნობიერება.

35. www.unicef.org.uk/wp-content/uploads/2016/08/unicef-convention-rights-child-uncrc.pdf. „კომიტეტი ითვალისწინებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგად რეკომენდაციას No.13(1999) განათლების უფლების შესახებ, რომელიც, მათ შორის, ეხება განათლების მიზნებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის 13(1) მუხლის შესაბამისად“. www.ohchr.org/en/resources/educators/human-rights-education-training/general-comment-no-1-aims-education-article-29-2001.

ამავდროულად, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო“³⁶ განსაზღვრავს კომპეტენციების ალტერნატიულ მოდელს, რომელიც აუცილებლად უნდა შეიძინოს მოსწავლემ სკოლამდელი საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლამდე, რათა ეფექტური მონაწილეობა მიიღოს კულტურულად მრავალფეროვან და დემოკრატიულ საზოგადოებაში. აღნიშნული ჩარჩო მოიცავს 20 კომპეტენციას და დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად: ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარ-ჩვევები, ცოდნა და კრიტიკული აზროვნება:

- ▶ **ღირებულებები:** ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების, კულტურული მრავალფეროვნების, დემოკრატიის, სამართლისა და სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა;
- ▶ **დამოკიდებულებები:** ღიაობა კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებული შეხედულებების, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკების მიმართ, პატივისცემა, სამოქალაქო აზროვნება, პასუხისმგებლიანობა, თავდაჯერებულობა, განსხვავებული აზრის მიმართ შემწყნარებლობა;
- ▶ **უნარები:** დამოუკიდებლად სწავლის უნარი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, მოსმენისა და დაკვირვების უნარი, ემპათია, მოქნილობა და ადაპტაციის უნარი, ლინგვისტური, კომუნიკაციისა და ენობრივი უნარი, თანამშრომლობის უნარები, კონფლიქტების მოგვარების უნარები;
- ▶ **ცოდნა და კრიტიკული აზროვნება:** საკუთარი თავის, ენისა და კომუნიკაციის, სამყაროს ცოდნა და კრიტიკული აღქმა: პოლიტიკა, სამართალი, ადამიანის უფლებები, კულტურა, კულტურები, რელიგიები, ისტორია, მედია, ეკონომიკა, გარემო, მდგრადობა.

დაბოლოს, გაეროს განვითარების პროგრამის 2020 წლის ანგარიშში³⁷ განმეორებით აღინიშნა, რომ განათლებას უფრო ღრმა დანიშნულება აქვს, ვიდრე მხოლოდ ინსტრუმენტული ფუნქციაა – მისი მიზანია, მოახდინოს ტრანსფორმაცია, ფართო ადამიანური ღირებულებების გაცნობისა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის გზით, რათა უზრუნველყოს პოლიტიკურად ინფორმირებული და აქტიური ადამიანის აღზრდა. მოკლედ, სანამ პოლიტიკის

36. <https://rm.coe.int/prems-004721-the-reference-framework-of-competences-for-democratic-cul/1680a27f24>.

37. <https://hdr.undp.org/en/content/human-development-report-2020>, გვ. 134.

შემქმნელები გააცნობიერებენ განათლების დანიშნულებას (მაგალითად, ნიშნავს თუ არა განათლება ცოდნის გადაცემას, გამოცდების შედეგების გაუმჯობესებას, ახალგაზრდების დახმარებას საკუთარი, ინდივიდუალური პოტენციალის განვითარებასა და თვითრეალიზებაში, თუ ნებისმიერი ეროვნების ადამიანებს შორის ურთიერთგაგების, ტოლერანტობისა და მეგობრობის ხელშეწყობას?)³⁸ და სანამ გაატარებენ შესაბამის პოლიტიკურ ღონისძიებებს, ის, თუ რა უნდა ისწავლებოდეს ხელოვნური ინტელექტის შესახებ, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

1.5.3. რა უნდა ვინააპოთ ხელოვნური ინტელექტის შესახებ

დიდი ხანია, უკვე აღიარებულია, რომ ყველა მოქალაქე უნდა იყოს წიგნიერი და ფლობდეს რაოდენობრივი წიგნიერების (რიცხვების ცოდნა და მათი გამოყენება) კომპეტენციას, თუმცა დღესდღეისობით, როგორც ვხედავთ, ასპარეზზე გამოჩნდა მრავალი სხვა სახის წიგნიერება. ესენია: სამეცნიერო წიგნიერება (მეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართვის უნარი, მაგ. სამეცნიერო მეთოდები), ისტ-ის ან ციფრული წიგნიერება (ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი ცოდნის საზოგადოებაში ეფექტური ფუნქციონირებისათვის), ფინანსური წიგნიერება (ისეთი უნარების ფლობა და ეფექტურად გამოყენება, როგორებიცაა პერსონალური ფინანსური მენეჯმენტი, ბიუჯეტირება და ინვესტირება) და კულტურული და სამოქალაქო წიგნიერება (ჰუმანიტარული მეცნიერებების აღქმის, დაფასების, ანალიზისა და გამოყენების უნარი).

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მსმენელთა მთლიანი პოპულაციის მხოლოდ მცირე ნაწილს გაუჩნდეს სურვილი ან დასტირდეს ხელოვნური ინტელექტის შესწავლა, რათა გახდეს ხელოვნური ინტელექტის დამპროექტებელი ან დეველოპერი, რეკომენდებულია, რომ თანამედროვე ეპოქაში მოხდეს ყველა მოქალაქის წახალისება და დახმარება, რათა მათ გარკვეულ დონეზე მაინც აითვისონ ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება. ადამიანებს

38. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ((UDHR) მუხლი 26:2) თანახმად, „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის განმტკიცებისკენ. ის ხელს უწყობდეს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას სხავდასხვა ერებს, რასობრივ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის და, ასევე, აძლიერებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევას მშვიდობის შენარჩუნების კუთხით“.

უნდა ჰქონდეთ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებაზე, დანერგვასა და გამოყენებაზე ორიენტირებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები:

მსოფლიოს მოქალაქეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რა გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტი, რისი გაკეთება შეუძლია და არ შეუძლია მას, როდის არის ხელოვნური ინტელექტი სასარგებლო და როდის უნდა დადგეს მისი გამოყენება კითხვის ნიშნის ქვეშ და როგორ უნდა მიემართოს ხელოვნური ინტელექტი საზოგადოების სასიკეთოდ. (მიაო და ჰოლმსი, 2021ა: 6)

სხვადასხვა მიზეზის გამო, ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება შეიძლება ჩაითვალოს ისტ-ის/ციფრული წიგნიერების დანამატად ან სპეციალიზაციად – და, მართლაც, თითქმის ყოველთვის, ხელოვნური ინტელექტი ამგვარად იყო მითითებული სამინისტროების მიერ დამტკიცებულ ხელოვნური ინტელექტის კურიკულუმებში, რომლებიც განხილულ იქნა იუნესკოს კურიკულუმის სქემის შემუშავების დროს (მიაო და შიოჰირა, 2022). რეალურად, ხელოვნური ინტელექტის კურიკულუმებს ახასიათებთ თითქმის ექსკლუზიური ტექნოლოგიური პერსპექტივა, სადაც ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება მოიაზრება, როგორც „მონაცემთა წიგნიერება ან იმის აღქმის უნარი, თუ როგორ აგროვებს, ასუფთავებს, ამუშავებს და აანალიზებს ხელოვნური ინტელექტი მონაცემებს, ასევე, ალგორითმების წიგნიერება ან უნარი, გააცნობიერო ის, თუ როგორ პოულობს ალგორითმული ხელოვნური ინტელექტი მონაცემებში შაბლონებსა და კავშირებს“ (იქვე: 11). თუმცა თუ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ხელოვნური ინტელექტი თვისებრივად განსხვავდება უმეტესი ციფრული ტექნოლოგიებისგან, ვინაიდან „ხშირად ის ავტონომიურად მოქმედებს და შეუძლია თავისი ქცევის ადაპტირება, კონტექსტის შესწავლის საფუძველზე“ (UNICEF, 2021), ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ტექნიკური განზომილებით. ნაცვლად ამისა, ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება უნდა მოიცავდეს ხელოვნური ინტელექტის როგორც ტექნიკურ, ასევე, ადამიანურ ასპექტებს, ის თუ როგორ მუშაობს ხელოვნური ინტელექტი (ტექნიკები და ტექნოლოგიები) და რა გავლენას ახდენს ის ადამიანზე (ადამიანის შემეცნება, კონფიდენციალობა, უნარები და ა.შ.) (ჰოლმსი და სხვ. 2019). მოკლედ, მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის სწავლება გამარტივებული ტექნიკური ენის გამოყენებით, თუმცა სწავლება იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ხელოვნური ინტელექტი, არ იქნება სრულყოფილი, თუ არ განვმარტავთ, თუ ვინ, რომელი ძალა და პოლიტიკური მოტივაცია დგას ამგვარი ავტომატური გადაწყვეტილებების უკან.

1.5.4. სად ინსაველა, ვინ სწავლობს და ვინ ასწავლის ხელოვნური ინტელექტის?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელოვნური ინტელექტის სწავლება შესაძლებელია და ის ნამდვილად ისწავლება განათლების ყველა საფეხურზე: დაწყებითი, საბაზო, საშუალო, უმაღლესი (თუმცა თითქმის ექსკლუზიურად ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებობს მძლავრი ელექტრომომარაგება და ინტერნეტის ინფრასტრუქტურა). აქედან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტი, ძირითადად, ისწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე, როგორც ძირითადი დისციპლინა (მაგ. კომპიუტერული მეცნიერებები ან მონაცემთა მეცნიერება) ან როგორც ინსტრუმენტი კონკრეტული დარგების გასაუმჯობესებლად (მაგ. „ფინტექი“³⁹ შემოქმედებითი ინდუსტრიები ან მედიცინა). მართლაც, გარკვეული დროის განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები, კონვეიერული წესით, პირდაპირ უნივერსიტეტებიდან გადადიოდნენ BigTech-ის სექტორში (ამაზონი, ევლი, ფეისბუქი, გუგლი) და სხვადასხვა ტექნოლოგიურ კომპანიაში – სამწუხაროდ, ძალზედ ცოტა მათგანი ჯანდაცვის ან განათლების სფეროში.

ამავდროულად, როგორც იუნესკოს მიერ აღინიშნა (მიאו და შიოჰირა, 2022), ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ზოგიერთი ასპექტი სულ უფრო მეტად მკვიდრდება საშუალო განათლების საფეხურზე, როგორც წესი, ციფრული წიგნიერების ნაწილის სახით და, ძირითადად, კომპიუტერულ გაკვეთილებზე, ხოლო იშვიათად, როგორც ხელოვნური ინტელექტის სასწავლო გეგმის ნაწილი. რეალურად, არსებობს უამრავი ხელმისაწვდომი რესურსი ხელოვნური ინტელექტის მეთოდებისა და ტექნოლოგიების სწავლებისათვის, რომლებიც პედაგოგებს შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ,⁴⁰ მათ შორის, განსაკუთრებით პოპულარულია მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის Scratch⁴¹. გარდა ამისა, წამყვანმა ტექნოლოგიურმა კომპანიებმა (როგორებიცაა Microsoft, IBM და Adobe) შეიმუშავეს ხელოვნური ინტელექტის სასწავლო გეგმები და ინსტრუმენტები საბაზო-საშუალო განათლების საფეხურზე გამოსაყენებლად.⁴² ამასთანავე,

39. „ფინტექი“ ნიშნავს კომპიუტერულ პროგრამებს, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენება საბანკო და ფინანსური მომსახურების მხარდასაჭერად ან გასააქტიურებლად.

40. მაგალითები იხილეთ <http://teachingaifork12.org>.

41. Scratch-ი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კოდირების საზოგადოება ბავშვებისთვის და კოდირების ენა, რომელსაც აქვს არაკომერციული ორგანიზაცია Scratch Foundation-ის მიერ შექმნილი მარტივი ვიზუალური ინტერფეისი, <https://scratch.mit.edu>.

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია გვთავაზობს ხელოვნური ინტელექტის კურიკულუმებს ან ტრენინგებს (მაგ. Teens in AI⁴³ და AI4K12⁴⁴), მაგალითად, უკრაინაში, ინიციატივა STEM IS FEM, რომლის ფარგლებშიც ისწავლება კოდირება და „ხელოვნური ინტელექტი 12-17 წლის გოგონებისთვის“, ხოლო ეგვიპტეში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ახალგაზრდების უნარ-ჩვევების შესატყვისი დასაქმების მოსაძიებლად (ITU, 2020). დაბოლოს, ხელოვნური ინტელექტის სწავლება სულ უფრო მეტად ინერგება დაწყებითი განათლების საფეხურზე, მაგალითად, კანადაში, Kids Code Jeunesse-ის მიზანი „ბავშვების განათლების წინა პლანზე კოდირების, ხელოვნური ინტელექტის, ეთიკისა და გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების დაყენებაა“⁴⁵, მაშინ როდესაც აბსოლუტურად ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია, მაგალითად, ფინური Elements of AI-ი, რომლის მიზანია „ადაამიანთა რაც შეიძლება ფართო მასების წახალისება, რომ მათ შეისწავლონ, თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი, რისი გაკეთება შეიძლება (ან არ შეიძლება) ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით და როგორ ხდება ხელოვნური ინტელექტის მეთოდების შემუშავება“⁴⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული რესურსი ძალზედ დადებითი მოვლენაა, ხოლო კორპორაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ავსებენ ხელოვნური ინტელექტის კურიკულუმებისა და ტრენინგების ნაკლებობის შედეგად წარმოქმნილ სიცარიელეს, კარგად დაფინანსებული, კომერციული და, ასევე, ექსპერტების მიერ შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის კურიკულუმების მარტივი ხელმისაწვდომობა კვლავ წამოჭრის ხშირად დასმულ, არასასიამოვნო შეკითხვებს, თუ რა სახით უნდა მოხდეს კერძო სექტორის ჩართვა განათლებაში და რა გავლენას ახდენს მათი კომერციული იმპერატივები სკოლის მოსწავლეებზე.

1.5.5. ხელოვნური ინტელექტის ნივთიერება: ტექნიკური ასპექტი

ფაქტია, რომ ზემოთ მითითებულ ყველა ინიციატივას ოდნავ განსხვავებული პერსპექტივა აქვს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, თითოეული მათგანი მეტად ფოკუსირებულია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიურ და ნაკლებად –

42. Microsoft-ის კომპიუტერული მეცნიერების კურიკულუმის ინსტრუმენტაროში, White Paper, https://edudownloads.azureedge.net/msdownloads/Microsoft_CSCT_WhitePaper.pdf.

43. www.teensinai.com

44. <https://ai4k12.org>.

45. <https://kidscodejeunesse.org/partners>.

46. www.elementsofai.com.

ადამიანურ ასპექტებზე, თუ არ ჩავთვლით ხელოვნური ინტელექტის ეთიკის მცირე მიმოხილვას, რომელსაც, როგორც წესი, კურსის ბოლოს ამატებენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, მიმოვიხილოთ კურიკულუმების/კურსების უმეტესობაში შეტანილი ტექნიკური ასპექტები, რომლებიც შეიძლება დავყოთ სამ მიმართულებად: მეთოდები, ტექნოლოგიები და აპლიკაციები (მიაო და ჰოლმსი, 2021a).

ხელოვნური ინტელექტის მეთოდებში შედის, მაგალითად, კლასიკური ხელოვნური ინტელექტის ან GOFAI-ის მიდგომა, მანქანური სწავლება (მათ შორის, კონტროლირებული, არაკონტროლირებული და გაძლიერებული სწავლება), ხელოვნური ნეირონული ქსელები და სიღრმისეული დასწავლა. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს არის სწრაფად განვითარებადი სფერო, სადაც მუდმივად იქმნება ახალი ტექნიკები და ჩნდება უახლესი მიდგომები, რომლებსაც ხშირად ითვალისწინებენ წამყვანი ხელოვნური ინტელექტის სფეროს მკვლევრები (მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი მათგანი ამტკიცებს, რომ მანქანური სწავლება სამომავლოდ შექმნის ადამიანის დონის, ზოგადი ტიპის ხელოვნურ ინტელექტს, ხოლო სხვები კი ამტკიცებენ, რომ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ახალი ხელოვნური ინტელექტის პარადიგმით, რაშიც გაერთიანდება მანქანური სწავლება და GOFAI). ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული მეთოდები წარმოადგენს მრავალი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის საფუძველს, რომელთაც ჩვენ სულ უფრო ხშირად ვიყენებთ, მათ შორის: ბუნებრივი ენის დამუშავება (NLP) და გენერირება, მეტყველების, გამოსახულებისა და სახის ამოცნობა, ემოციების დადგენა, რეკომენდატორები და ხელოვნური კრეატიულობა. დაბოლოს, ეს მეთოდები და ტექნოლოგიები ერთიანდება მთელ რიგ აპლიკაციებში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ავტონომიური აგენტები და სერვისის ჩატბოტები, ავტომატური ჟურნალისტიკა, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სავაჭრო და გასართობი პლატფორმები, ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე იურიდიული სერვისები, ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ამინდის პროგნოზირება, ხელოვნური ინტელექტით თაღლითობის გამოვლენა, ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული ბიზნესპროცესები, ჭკვიანი ქალაქები, ხელოვნური ინტელექტით მომუშავე რობოტები და დიპფეიკები. დღეისთვის, ეს მეთოდები, ტექნოლოგიები და აპლიკაციები ერთობლიობაში წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის სწავლების მთავარ ღერძს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური განზომილების სწავლება აუცილებელია, ის მაინც არ არის საკმარისი (ჰოლმსი და სხვ. 2021). და მართლაც, დადასტურებულია (ჰოლმსი

და სხვ. 2019), რომ ხელოვნური ინტელექტის ნებისმიერი სასწავლო კურსი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ადამიანურ ასპექტსაც – რომელზეც მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ.

1.5.6. ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება: ადამიანური ასპექტი

ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი ფართოდ გავრცელებულ სახეს იღებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები მოემზადონ ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენისთვის (მარკაუს-კაიტე და სხვ. 2022). ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ადამიანური ასპექტის განხილვის მიზანია, საშუალება მივცეთ ადამიანებს, გააცნობიერონ, თუ რას ნიშნავს ხელოვნურ ინტელექტთან თანაცხოვრება, როგორ გამოიყენონ მისი უპირატესობები მაქსიმალურად და, იმავედროულად, თავი დაიცვან არასათანადო ზეგავლენებისგან მათ უფლებებსა თუ ადამიანურ ღირსებაზე. დასაწყისისთვის, უნდა ითქვას, რომ აუცილებელია, ახალგაზრდებს დავეხმაროთ იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ხელოვნურმა ინტელექტმა, ავტომატიზაციამ, განსაკუთრებით კი ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებამ, საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი ახალგაზრდებს დაევალებათ ხელოვნური ინტელექტის შესწავლა ისევე, როგორც მათემატიკას სწავლობენ, ყველა მათგანს უნდა შეეძლოს იმის აღქმა, თუ რაოდენ სამართლიანად ეპყრობა მათ ხელოვნური ინტელექტი, რომლითაც მათ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ისარგებლეს. ზემოთ აღნიშნულის მიზანი სულაც არ არის ხელოვნური ინტელექტის პროვაიდერების გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან, პირიქით, ზიანისგან დაცვის პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება მიმწოდებელს, და არა მომხმარებელს. ამის მიუხედავად, აღიარებულია, რომ ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება, განურჩევლად მის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟისა და დეზინფორმაციისა, მაინც ადამიანის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს.

ამჟამად, ხელოვნური ინტელექტის შესახებ სწავლება დიდწილად კომპიუტერულ მეცნიერთა პრეროგატივაა. შედეგად მიღებული გარდაუვალი აქცენტობა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიურ ასპექტებზე, როგორც წესი, იწვევს პოლიტიკოსების ყურადღების გადატანას სოციალური და კულტურული ზეგავლენებისგან. თუმცა, ნაცვლად ამისა, აუცილებელია იმ გარემოს ჰოლისტური აღქმა, რომელშიც ხდება ხელოვნური ინტელექტის დანერგვა,

როგორც განათლების სფეროში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. განათლების მიღმა გასათვალისწინებელია ისეთი საკითხები, როგორებიცაა მონაცემების აკუმულირება და ხელოვნური ინტელექტის ექსპერტიზა BigTech-ის მიერ, ხოლო საგანმანათლებლო კონტექსტში კი ის, თუ როგორ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი და განათლება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მართვისთვისა და სწავლა-სწავლების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული საკითხების მოგვარების ერთ-ერთი გზა ყველა მასწავლებლის – არა მხოლოდ ისტ-ის ან კომპიუტერული მეცნიერების მასწავლებლების, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჰუმანიტარული საგნებისა და ხელოვნების პედაგოგების წახალისება, რათა მათ მოსწავლეებთან ერთად შეისწავლონ ხელოვნური ინტელექტის პოტენციური გამოყენების გზები, სარგებელი და ზეგავლენა, გამოწვევები და რისკები თავიანთი საგნების ფარგლებში. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, შესაძლებელია ახალი ციფრული გამოსახულების ავტომატური გენერირება⁴⁷ და ლექსის „დაწერა“,⁴⁸ ლოგიკური იქნება, თუკი ხელოვნებისა და ლიტერატურის პედაგოგები დაუსვამენ მოსწავლეებს კითხვას: თუკი მოწყობილობას შეეძლება შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, მაშ, რაღას ნიშნავს იყო ადამიანი?

ასევე, გასათვალისწინებელია სხვადასხვა საკითხი, აღწერილი „მონრეალის დეკლარაციაში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი განვითარების შესახებ“ (2018),⁴⁹ როგორიცაა კეთილდღეობა, ავტონომიურობის პატივისცემა, კონფიდენციალურობის დაცვა, სოლიდარობა, დემოკრატიული მონაწილეობა, თანასწორობა, მრავალფეროვნება, წინდახედულობა, პასუხისმგებლიანობა და მდგრადი განვითარება. სხვა ასევე მნიშვნელოვანი საკითხებია: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მონიტორინგის მიზნით, თუ რატომ არის ხელოვნური ინტელექტი ჭკვიანი, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გაძლიერება (ხელოვნური ინტელექტისთვის ავტონომიის მინიჭება) და მისი პოტენციური ზეგავლენა დასაქმების ბაზარზე, ინკლუზიურობაზე, გენდერულ თანასწორობასა (სამუელი, 2018) და ნდობაზე. ამ საკითხთაგან ბევრი განხილულია განახლებულ დოკუმენტში „ევროპული ციფრული კომპეტენციების ჩარჩო მოქალაქეებისთვის“⁵⁰ (DigComp, 2.2), რომელშიც მკაფიოდ

47. <https://hotpot.ai/art-maker>.

48. <https://sites.research.google/versebyverse>.

49. www.montrealdeclaration-responsibleai.com.

ხაზგასმულია მოქალაქეებისთვის ხელოვნური ინტელექტის კომპეტენციების ფლობის მნიშვნელობა (ვუორიკარი და ჰოლმსი, 2022).

გარდა ამისა, ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გააცნობიეროს ადამიანის როლი ხელოვნური ინტელექტის შემუშავების, განვითარებისა და კონტროლის პროცესში – ვინაიდან ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ადამიანი უნდა მართავდეს პროცესს (მაგ. ზანზოტო, 2019)⁵¹ და აკონტროლებდეს ხელოვნური ინტელექტის სისტემის საბოლოო პროდუქტს, ხოლო სხვები კი ვარაუდობენ, რომ ეს მიდგომა აუცილებლად შესაცვლელია: ადამიანი უნდა აკონტროლებდეს, ხოლო ხელოვნური ინტელექტი კი მართავდეს (ჰოლმსი და სხვ. 2021).

50. ევროკომისიის ციფრული კომპეტენციების ჩარჩო 2.0, <https://ec.europa.eu/jrc/en/digcomp/digital-competence-framework>.

51. „ადამიანი მართვის მიღმა“ არის სისტემები, რომლებიც ფუნქციონირებენ ადამიანის ზედამხედველობისა და კონტროლის გარეშე.

ნაწილი II

ხელოვნური ინტელექტისა და განათლების წინაშე ახსებუდი გამოწვევები

ეორე ნაწილში განხილულია მთელი რიგი საკითხები და გამოწვევები, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებულ კავშირებში: ხელოვნური ინტელექტი და მოსწავლეები (პედაგოგიკა, თანასწორობა და ინკლუზია, მოსწავლის მოქმედების თავისუფლება, კონფიდენციალობა და კოგნიტური განვითარება), ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ეთიკა, ხელოვნური ინტელექტი და საგანმანათლებლო ეკოსისტემა და ტრანსნაციონალური საკითხები.

2.1. ხელოვნური ინტელექტი და მოსწავლეები

2.1.1. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და კვალიფიკაცია

მიუხედავად უახლესი ტექნოლოგიების ფართო გამოყენებისა, რომლებიც ხშირად კოგნიტურ მეცნიერებებზეა დამყარებული (ანდერსონი და სხვ. 1995), თითქმის ყველა კომერციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი, შექმნილი მსმენელების ეფექტური მხარდაჭერისთვის, იყენებს სწავლა-სწავლებისადმი პრიმიტიულ მიდგომას. დომინანტური მიდგომა გულისხმობს წინასწარგანსაზღვრული, ინდივიდის მიღწევებზე მორგებული, „დაღეჭილი“ მასალის მიწოდებას, რისი მიზანია წარუმატებლობის მაქსიმალურად თავიდან აცილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საპირისპირო შეხედულებების მიუხედავად, აღნიშნული მიდგომა, ფაქტობრივად, ბიჭვიორისტული ან ინსტრუქციონისტულია და უგულვებელყოფს სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩატარებულ პედაგოგიურ კვლევებსა და მიღწევებს (მაგალითად, სიღრმისეული დასწავლა – ენთვისტლი, 2000; აღმოჩენებით სწავლება – გაგნი და ბრაუნი, 1963; პროდუქტიული წარუმატებლობა – კაპური, 2008; პროექტზე დაფუძნებული სწავლება – კოკოცაკი და სხვ. 2016; და აქტიური სწავლება – მაცუშიტა, 2018). ბიჭვიორისტული მიდგომა, განსაკუთრებით კი „დაღეჭილი“ მასალის მიწოდება, პრიორიტეტს ანიჭებს დაზეპირებას და არა აზროვნებას, ფაქტების დამახსოვრებას და არა კრიტიკულ ჩართულობას, რითიც ბარალდება მოსწავლის მოქმედების თავისუფლება და ეფექტური სწავლა.

პარალელური მაგალითის სახით, შეგვიძლია დავასახელოთ კვლევითი საზოგადოებისა და კომერციული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ძალისხმევა, რომლის შედეგად შეიქმნა ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ელექტრონული პროტორინგი (მეთვალყურე). პანდემიის დროს, როდესაც სასწავლო პროცესების უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც შეფასება, ონლაინრეჟიმში გადავიდა, დაფიქსირდა ისეთი ბიზნესკომპანიების მასიური ზრდა, რომლებიც ახორციელებდნენ გამოცდების ავტომატურ მონიტორინგს, ანუ ელექტრონულ პროტორინგს. თუმცა ელექტრონული პროტორინგის გამოყენებამ გამოიწვია ბევრი კამათი, რადგან მას დაბრალდა უნებართვო ინტრუზია, რასობრივი დისკრიმინაცია, ხარვეზიანი ფუნქციონირება, მსმენელთათვის დაბრკოლებების შექმნა გამოცდების ჩაბარების პროცესში და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამწვავებაც კი, ხოლო მისი უნარი, გამოევიდნა

გამოცდებზე გადაწერის ან კარნახის ფაქტები, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა (ბრაუნი, 2020; კონინი და სხვ. 2022). ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ მოხდა არაეფექტური პედაგოგიური პრაქტიკის ავტომატიზება და განვრცობა, ნაცვლად ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა ინოვაციური მიდგომების შესამუშავებლად.

მეორე მაგალითია მედიაორგანიზაციების, EdTech კომპანიებისა და პოლიტიკის შემქმნელების მიერ ხშირად დასახელებული „პერსონალიზაცია“, ანუ ამბიცია, რომელიც თითქმის 100 წელზე მეტია უკვე არსებობს (უოთერსი, 2021). თუკი შეგვიძლია მივიღოთ პერსონალიზებული რეკომენდაციები Netflix-ზე, მაშ რატომ არ შეგვიძლია მივიღოთ იგივე განათლების სფეროში? და მართლაც, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საგანმანათლებლო კომპანია Pearson შეგვიძლია მივიჩნიოთ იმის მაგალითად, თუ როგორ ცდილობს კომპანია რებრენდინგს, საგანმანათლებლო ნეტფლიქსის მსგავსად: „ზუსტად ისე, როგორც უყურებთ ფილმებს Netflix-ზე ან ყიდულობთ სერვისებს ამაზონზე, ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ განათლება ერთიანი, ხარისხიანი, სამომხმარებლო გამოცდილების სახით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ასაკისა და საფეხურის მოსწავლისათვის.“⁵² თუმცა ჰოლმსი და მისი კოლეგები ამტკიცებენ, რომ ზემოთ აღნიშნული სცდება ძირითად მიზანს (2018). „ხელოვნური ინტელექტით სწავლის“ ზოგიერთ ინსტრუმენტს მართლაც შეუძლია, თითოეულ მოსწავლეს შეუქმნას მასალის ათვისების ინდივიდუალური გეგმა, თუმცა მათ მოსწავლე მაინც მიჰყავთ იმავე ფიქსირებულ სასწავლო შედეგებამდე, რასაც ნებისმიერი სხვა სისტემა აკეთებს. პერსონალიზირებული შეიძლება იყოს მეთოდი, თუმცა არა საბოლოო მიზანი. სწორედ ეს არის პერსონალიზირების სუსტი მხარე.

ამასთან, შეგვიძლია ვიკამათოთ, რომ სწავლის პერსონალიზაცია, პირველ რიგში, არ ეხება სასწავლო მეთოდებს (სწავლების მიკროდონე), არამედ ეხმარება ინდივიდუალურ მოსწავლეს, გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი, მოახდინოს თვითრეალიზება და გაიფართოოს მოქმედების არეალი (სწავლების მაკროდონე). და სწორედ ეს არის ის, რასაც ვერცერთი არსებული, კომერციული, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი ვერ აკეთებს (ტომპსონი და კუკი, 2017), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით

52. Undelete news (2018), „პირსონი მიზნად ისახავს, გახდეს „განათლების ნეტფლიქსი““, <https://uk.undelete.news/post/pearson-aims-to-becoming-the-netflix-of-education/68102>.

არსებობს გარკვეული აკადემიური კვლევები (მაგ. ჯარველა და სხვ. 2021; მოლენაარი და სხვ. 2021). განათლება, ასევე, გულისხმობს თანამშრომლობასა და სწავლა-სწავლების სოციალური ურთიერთქმედების ასპექტებს და, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილი თანამშრომლობითი სწავლება დღემდე წარმოადგენს აკადემიური კვლევების საგანს (მაგ. მაკლარენი და შუერი, 2010), რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კომერციულად ხელმისაწვდომი ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ვერცერთი ინსტრუმენტი ამ პრობლემას ვერ აგვარებს.

2.1.2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და ჩისკის ქვეშე მოსწავლეების იდენტიფიცირება

ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები ასევე გამოიყენება სკოლის ფარგლებს გარეთ, იმის დასადგენად, თუ როგორ ხორციელდება განათლების მიწოდება დაწესებულების მიერ. მაგალითად, შეერთებულ შტატებში მუდმივად იქმნება საკონსულტაციო ფორმები, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობენ პროგნოზირებად ანალიტიკას პერსონალისა და მოსწავლეების მიღებისა და შენარჩუნების შესახებ (ონილი, 2017). ხელოვნური ინტელექტი ასევე გამოიყენება სახელმწიფო დონეზე, მაგალითად, ინდოეთში⁵³ დაწყებითი სკოლის შემდგომ მოსწავლეთა, განსაკუთრებით კი გოგონების, შენარჩუნების მაჩვენებლის მრავალწლიანი პრობლემის მოსაგვარებლად. თუმცა ტექნოლოგიების ამგვარი გამოყენება, შესაძლოა, შეცდომაში შემყვანიც კი აღმოჩნდეს, ვინაიდან ჩართულობის გამოშვება არ ნიშნავს ხარისხის ან თანასწორობის საზომს (აიკმანი და უნტერჰალტერი, 2005).

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მსმენელთა პროფილირებისთვის შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული სარგებელი, მაგალითად, ავლენდეს მოსწავლეებისთვის, რომლებიც იმყოფებიან სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ (ბარეტი და სხვ. 2019; ჰაგერი და სხვ. 2019), შეიძლება იყოს ზედმეტად ინტრუზიული და ძირს უთხრიდეს მოსწავლის სამართლიან მოლოდინს კონფიდენციალურობის მიმართ. ამას, ასევე, შეიძლება ჰქონდეს სადამსჯელო ეფექტი ოჯახებზე ისეთ ქვეყნებში, სადაც სკოლაში ბავშვის სიარული პირდაპირ მიბმულია სახელმწიფო შემწეობის მიღება ან არმიღებაზე, მაგალითად, Bolsa Familia-ს პროგრამა ბრაზილიაში (კანტო 2019).

53. ანდჰრა პრადეშის მთავრობა, ინდოეთის სამხრეთი შტატი Microsoft-თან პარტნიორობით.

როდესაც პერსონალური მონაცემები იკრიბება მოსწავლეთა შენარჩუნების მიზნით, ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული პოსტების გამოყენება სკოლის ჩანაწერებთან ერთად, ნაკლებად აკმაყოფილებს მონაცემების მინიმუმაციის მოთხოვნებს იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს „კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“ (ETS №108)⁵⁴. ეს მიდგომა, ასევე, შორსაა იმ არგუმენტისგან, რომ არ შეიძლება ბავშვების რუტინული პროფილირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი რანჟირება ან კატეგორიზაცია, რაც საზიანო გავლენას მოახდენს ბავშვის განვითარებასა და მომავალზე. სინამდვილეში, ხელოვნური ინტელექტის ამ გზით გამოყენება წარმოშობს უფრო მეტ პრობლემას, რომელიც, სავარაუდოდ, ვერ მოგვარდება უფრო მეტი ტექნოლოგიის გამოყენებით.

2.1.3. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და კოგნიტური განვითარება

მონაცემთა დაცვის კანონში, ბიომეტრული მონაცემების დეფინიციაში აღნიშნულია, რომ მონაცემების გამოყენება ნებადართულია იდენტიფიცირების მიზნებისათვის. შესაბამისად, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არ ვრცელდება მონაცემების დამუშავებაზე, რომლის მიზანია, ზეგავლენა მოახდინოს ინდივიდის ქცევაზე. სათანადო დაცვის ნაკლებობა განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც ბიომეტრული მონაცემები გამოიყენება ზეგავლენის მოსახდენად ბავშვების ქცევაზე, რომელთა გონებრივი პროცესები, ღირებულებები და დამოკიდებულებები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. მოკლედ, აუცილებელია, გულდასმით იქნეს შესწავლილი ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ადამიანის შემეცნებასა და კოგნიტურ განვითარებაზე, ვინაიდან ასეთმა ტექნოლოგიებმა შესაძლოა გამოიწვიოს ფუნდამენტური ცვლილებები, განსაკუთრებით კი ტვინის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში (ტუომი, 2018).

54. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ (ETS No. 108), www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treaty-num=108 და ამ კონვენციის 108 (CETS No. 223) პროტოკოლი შესწორების შეთანხმების შესახებ, www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treaty-num=223.

2.1.4. საღონური ინტელექტის გამოყენება და მოსწავლის მოქმედების თავისუფლება

დიუის⁵⁵ ეპოქიდან მოყოლებული დღემდე, მოსწავლეზე ფოკუსირებული მიდგომის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში განათლების სფეროს კვლევებისა და პრაქტიკის მუდმივ თემას წარმოადგენს. ეს მიდგომა ბავშვს ანიჭებს სასწავლო პროცესზე მნიშვნელოვანი კონტროლის საშუალებას, რითიც მაქსიმალურად იზრდება მოსწავლის მოქმედების თავისუფლება. თუმცა, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომისას, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბავშვებს არ აქვთ იგივე შესაძლებლობები, რაც აქვთ ზრდასრულებს. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას, ბავშვებს არ შეუძლიათ ზრდასრულების მსგავსად გააანალიზონ ისეთი საკითხები, როგორებიცაა მიკერძოება და სამართლიანობა, გამოთქვან ჭეშმარიტად ინფორმირებული თანხმობა, გააცნობიერონ ან გააპროტესტონ მათ ცხოვრებასთან დაკავშირებით ხელოვნური ინტელექტის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები ან პროგნოზები.

ნებისმიერ შემთხვევაში, მტკიცებულება იმისა, რომ მოსწავლეზე ფოკუსირებული მიდგომები ფართოდ გამოიყენება „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ მოხმარების დროს, ძალზედ მცირეა, მიუხედავად ზოგიერთი კომერციული აქტორის მიერ საპირისპიროს მტკიცებისა. სინამდვილეში, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ინსტრუმენტების გამოყენებისას, მოსწავლე ნაკლებად აკონტროლებს სასწავლო პროცესს ან იმ მონაცემებს, რომლებიც გენერირდება მისი ურთიერთქმედებით სისტემასთან, ასევე, არ გადაეცემა მას საკუთრებაში ნებისმიერი მიღებული შედეგი (ლუპტონი და უილიამსონი, 2017). გარდა ამისა, ბავშვზე ორიენტირებული სწავლების ნარატივი შენიღბული პერსონალიზებული სწავლებით, ისევე, როგორც ფართო დისკურსი ბავშვთა უფლებების შესახებ, ეჭვქვეშ დგება ვითომდა „ბავშვების სახელით შექმნილი“ პერსონალური მონაცემების შეგროვებით, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს ბავშვის თავისუფალი ნების გამოხატვას.

დაბოლოს, საგანმანათლებლო გარემოს მუდმივად ცვალებადი საზღვრები, რომელსაც დღითიდღე სულ უფრო მეტი ციფრული მოწყობილობა ემატება,

55. სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედია (2018) ჯონ დიუის შესახებ, <https://plato.stanford.edu/entries/dewey/>.

რომელიც ურთიერთქმედებს ბავშვებთან და მიზნად ისახავს მათ ქცევაზე ზეგავლენის მოხდენას, შესაძლოა რთულად გასაგები აღმოჩნდეს ბავშვისთვის. ეს, ასევე, აისახება ბავშვის ოჯახზე, რადგან მშობლებს მსგავსი რამ ფაქტობრივად არასდროს უსწავლიათ – ანუ ეს მათ სასწავლო გამოცდილებას აღემატება. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შედეგების კომპლექსურობის გამო, არ უნდა გვეტონდეს მოლოდინი, რომ მშობლებს ექნებათ ამგვარი ცოდნა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ არსებობს რაიმე გამჭვირვალე მეთოდი, რომლითაც ბავშვები, პერსონალი ან მშობლები დამოუკიდებლად შეძლებდნენ, განსაზღვრონ, თუ რა გავლენას შეიძლება ახდენდეს ხელოვნური ინტელექტი ბავშვის კოგნიტურ, სოციალურ ან ემოციურ განვითარებაზე. შესაბამისად, აუცილებელია ამ ყველა საკითხის სიღრმისეული შესწავლა მანამ, სანამ არ გაირკვევა, თუ რომელი უფლებები ან სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვებთან ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას ისეთ გარემოში, სადაც ბავშვებს შეზღუდული აქვთ არჩევანის ან კონტროლის უფლება.

2.1.5. სელონური ინტელექტის გამოყენება ზეგავლენის შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან

ევროპის საბჭოს კვლევაში, „ორი დაწკაპუნება წინ და ერთი დაწკაპუნება უკან“ (ლუნდი და სხვ. 2019), აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, განურჩევლად მათი საჭიროებებისა, არაპროპორციულად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას. ამის მიუხედავად, ხელოვნური ინტელექტის მეთოდები სულ უფრო ხშირად გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად (დრიგასი და იოანიდუ, 2013); მაგალითად, დისლექსიის (კოლი და პრასადი, 2010), ჰიპერაქტიურობის სინდრომის დროს ყურადღების დეფიციტის (ADHD) (ანურადჰა და სხვ. 2010) და აუტიზმის სპექტრის (სტივენსი და სხვ. 2019) სადიაგნოსტიკოდ და ნეირომრავალფეროვნების მქონე ბავშვების ჩართულობის უზრუნველსაყოფად (პორეისკა-პომსტა და სხვ. 2018). დღეისთვის ფართოდ გავრცელებული აპლიკაციები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად გამოიყენება, თავდაპირველად სულაც არ იყო გამიზნული განათლების მისაწოდებლად, არამედ გადმოტანილი იქნა სხვა სექტორებიდან. აღნიშნულში შედის დამხმარე ტექნოლოგიები, როგორებიცაა ტექსტის მეტყველება და დაქცევა, მეტყველების ტექსტად გადაქცევა, ტექსტის პროგნოზირება, მართლწერის შემოწმება და საძიებო სისტემები (პოპენიცი და

კერი, 2017). თუმცა, სამწუხაროდ, პერეპროფილირებას ყოველთვის წარმატებული შედეგი არ მოაქვს; მაგალითად, საკლასო ოთახში არსებული ხმაურის გამო, მეტყველების ამოცნობა ხშირად გამართულად არ მუშაობს (ოლნი და სხვ. 2017). მაშინაც კი, როდესაც აპლიკაცია სამეცნიერო მტკიცებულებებითაა გამყარებული, ბაზარზე გაცდილი წარუმატებლობა ხშირად აფერხებს მის ფართო გავრცელებას. გარდა ამისა, დღემდე ძალზედ მცირე სამუშაოა ჩატარებული განათლებასთან და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან ასოცირებული ალგორითმების ან მონაცემების მიკერძოებულობის აღმოსაფხვრელად (ბეიკერი და ჰოუნი, 2021).

2.1.6. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და მოზღვა

მშობლის როლი ხშირად კამათის საგანი ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღებული გადაწყვეტილებების გამო. ბავშვობა და ბავშვის განვითარებადი შესაძლებლობები ნიშნავს იმას, რომ ბავშვი ჯერ კიდევ ვითარდება, ხოლო მშობლებს აქვთ მოლოდინი, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო სივრცესა და სახლს შორის მიმდინარე პროცესებში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შედეგებმა შესაძლოა არა მხოლოდ განსაზღვროს ბავშვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გამოცდილება, არამედ, ასევე, გავლენა მოახდინოს მის ნევროლოგიურ, კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე მთელი ცხოვრების მანძილზე – თუმცა ეს ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია (გოტჩალკი, 2019). მიუხედავად ამისა, საკლასო გარემოში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს – და მათი მიზანი მართლაც რომ გავლენის მოხდენა – იმაზე, თუ როგორ ამროვნებენ და სწავლობენ, ასევე, თუ როგორ იღებენ და აფასებენ ცოდნას ბავშვები. ის, თუ რა ინფორმაციას ჩათვლიან სკოლის მოსწავლეები ღირებულად ან მართებულად, ხშირად განპირობებულია იმით, თუ რა არის ნაჩვენები საძიებო სისტემის მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალის დასაწყისში, რამდენად ზუსტია ხმოვანი ასისტენტი, ან რა პროცესებს ანიჭებს პრიორიტეტს „ტკვიანი სწავლების სისტემა“ (ლოვატო და სხვ. 2019). საგანმანათლებლო გარემოში მყოფი ბავშვის ცხოვრებაში ნებისმიერი სახის ჩარევას თან ახლავს განსაკუთრებული სირთულე ამგვარ ინტერაქციაში მონაწილეობის არაკონსენსუალური ხასიათის გამო, რადგან ბავშვები და ოჯახები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ისარგებლონ საკუთარი უფლებებით. უფლებების მატარებლები კი, რომლებსაც ხშირად კანონი იცავთ, არიან არა მხოლოდ ბავშვები, არამედ მათი მშობლები ან კანონიერი მეურვეები.

ლიტერატურა, რომელშიც შეიძლება გავვეცნოთ მშობლების მოსაზრებას განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით, ძალზედ ცოტაა. მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტისა და განათლების პოტენციალი და რისკები შეფასებული იქნა სკოლის ასაკის ბავშვების მშობლების მიერ, NESTA-ს დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში (ბეიკერი და სხვ. 2019). გამოკითხული მშობლების უმეტესობამ განაცხადა, რომ მათ შემოფოთებას იწვევს ხელოვნური ინტელექტის დეტერმინიზმის (77%), ანგარიშვალდებულების (77%), კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების (73%) შედეგები განათლებაში. მშობლები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ სათვალთვალ კაპიტალიზმის ეპოქაში (რასთი 2021) მონაცემებს შეუძლია ზიანის მიყენება და დისკრიმინირება და რომ ინდივიდუალური გასაჩივრებისა ან ზარალის ანაზღაურების უფლება არაპროპორციულია ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემებით მართული სისტემების მიერ შექმნილი სისტემური უთანასწორობის ფონზე (ბარასი 2020). შესაბამისად, აუცილებელია, რომ მთავრობებმა, ბიზნესკომპანიებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედებენ loco parentis, ანუ მშობლების ნაცვლად, გააცნობიერონ, რომ ალგორითმები არ ახდენენ ადამიანების პროფილირებას სამართლიანი და მართებული ფორმით და რომ ეჭვქვეშ უნდა დადგეს შეხედულება, თითქოს ალგორითმი ობიექტურია და შეუძლია უსაფრთხოდ იწინასწარმეტყველოს ადამიანის, განსაკუთრებით კი, ბავშვის ქცევა.

2.1.7. ხელოვნური ინტელექტის „მალალი რისკის“ შემთხვევი აპლიკატივიზი

ევროკომისიამ დაადგინა, რომ „ხელოვნური ინტელექტის სისტემები, განკუთვნილი მოსწავლის შესაფასებლად“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები, შექმნილი ბავშვისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბავშვების პიროვნულ განვითარებაზე, მათ შორის, პერსონალიზებული განათლების ან შემეცნებითი ან ემოციური განვითარების“ მეშვეობით, არის „მალალი რისკის“ შემცველი და უნდა „დაექვემდებაროს გარკვეულ სავალდებულო მოთხოვნებს“⁵⁶, რაც გულისხმობს „მონაცემების მართვის, დოკუმენტირებისა და აღრიცხვიანობის, გამჭვირვალობისა და მომხმარებლისთვის ინფორმაციის

56. ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის წინადადება ხელოვნური ინტელექტის შესახებ („ხელოვნური ინტელექტის კანონი“) შეთანხმებული წესების დადგენისა და გარკვეული საკანონმდებლო აქტების შესწორების შესახებ, 2021 წ., თავი 5.2.3, შესწორება, www.europarl.europa.eu/doceo/document/CJ40-PR-731563_EN.pdf.

მიწოდების, ადამიანის მხრიდან ზედამხედველობის, სანდოობის, სიზუსტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სავალდებულობას.⁵⁷

თუმცა, ზემოთ აღნიშნული არ ითვალისწინებს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს განვითარებადი ბავშვის ფსიქიკურ ან ემოციურ მდგომარეობაზე ხელოვნური ინტელექტის ტრადიციულმა გამოყენებამ სწავლა-სწავლების პროცესში, რა დროსაც ხდება ქცევითი შაბლონების პროფილირება ან შედეგების შეფასება პროგნოზირების მიზნებისთვის. მოსწავლის კომპიუტერული მოდელირებისას, რომელიც გამოიყენება „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ინსტრუმენტების მიერ, პროფილები ან სტერეოტიპები ხშირად აკადემიური მოსწრების პროგნოზირებისა და იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება, რომლებსაც ესაჭიროებათ გარკვეული ინტერვენციები (ქრისაფიადი და ვირჯუ, 2013). თუმცა ამ მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია არასათანადოდ წარმოდგენილ მოსახლეობებში (საპიეზინსკი და სხვ. 2017). მოსწავლის მდგომარეობის შესახებ დასკვნების გაკეთება ისეთი ინდიკატორების ან მახასიათებლების მეშვეობით, როგორებიცაა სქესი, ეთნიკური ან კულტურული წარმომავლობა და, თუნდაც, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ასევე წარმოადგენს მიკერძოებულობას და უფრო მეტად აღრმავებს უკვე არსებულ უფსკრულს.

თუმცა, სენსიტიური მონაცემების აშკარად ინტრუმიული დამუშავებაც კი არ წარმოადგენს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ყველაზე სერიოზულ რისკს. ნაცვლად იმისა, რომ გავანალიზოთ მხოლოდ აშკარა ან ფარული დისკრიმინაცია მონაცემებში, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, თუკი და როგორ ახდენს ტექნოლოგიების გამოყენება გავლენას ბავშვზე ისე, რომ ამას ვერც სკოლა და ვერც მშობლები ვერ ამჩნევენ. შეკითხვები სცილდება ბავშვის თავისუფლებისა და ავტონომიის შემლუღვას და მოიცავს საკითხს, თუ როგორ ახორციელებენ გარეაგენტები (როგორც წესი, კომერციული მოთამაშეები) ბავშვის განვითარების კონტროლს დახურულ და ხშირად შეუღწევად სისტემებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვები ნაკლებად ეხება მონაცემთა დაცვას და უფრო მეტად მოიცავს ბავშვის დაცვას ამოუცნობი რაოდენობის გარე დაინტერესებული სუბიექტებისგან, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე.

57. ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია ხელოვნური ინტელექტის შესახებ შეთანხმებული წესების („ხელოვნური ინტელექტის კანონი“) დადგენისა და ევროკავშირის გარკვეული საკანონმდებლო აქტების შესწორების შესახებ, 2021 წ. განმარტებითი მემორანდუმი, ნაწილი 5.2.3. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52021PC0206&from=EN>.

დაბოლოს, ძალიან ხშირად და თითქმის ყოველთვის საუკეთესო განზრახვით, ხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების მონაცემების რეპროფილირება ისეთი მეთოდებით, რისთვისაც ეს მონაცემები არასოდეს შექმნილა – და, როგორც წესი, თანხმობის გარეშე („დამიცავი ციფრული მე“, 2020). მაგალითად, 2017 წელს, გაერთიანებული სამეფოს, ბუკინგემის უნივერსიტეტმა დაიწყო მოსწავლეთა მიერ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტების, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის ირიბი რისკის, მონიტორინგი: „ალგორითმი შეისწავლის ბავშვების სოციალურ ქსელებს და აფიქსირებს საკვანძო პოზიტიურ და ნეგატიურ სიტყვებს, რომლებიც შემდეგ გამოიყენება ბავშვების კმაყოფილების, ჩართულობისა და წარმატებულობის დონის დასადგენად“ (გრეი, 2017). კომპლექსური ეთიკური საკითხები, რომლებსაც ასეთი პრაქტიკა მოიცავს, რასაკვირველია, აშკარაა გარე დამკვირვებელთა უმეტესობისთვის.

2.1.8. ხელოვნური ინტელექსის გამოყენება და ემოციები

უკვე ათწლეულებია, ცნობილია, რომ ემოციები გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე (შეჯამებისთვის, იხილეთ პეკრუნი, 2014). შესაბამისად, ბოლო ხანებში ბევრი კვლევა ჩატარდა იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები მოსწავლის ემოციური (აფექტური) მდგომარეობის იდენტიფიცირებას, რათა დაეხმარონ მოსწავლეს, გადავიდეს ნეგატიურიდან პოზიტიურ განწყობაზე, რაც, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს მის აკადემიურ მოსწრებას (მაგ. ბლანჩარდი და სხვ. 2009). თუმცა, ეს რთული კონსტრუქციები (პოზიტიური და უარყოფითი აფექტური მდგომარეობები) ხშირად იზომება გამარტივებული ინსტრუმენტებით, მაგალითად, ვიქტორინის ქულების, ჩამონათვალის მონიშვნის, რეაქციის დროით (ჯარელი და სხვ. 2015), ან ინტრუზიული და შეუსწავლელი ტექნოლოგიების საშუალებით, როგორებიცაა Focus1 EEG ყურსასმენები, რომლებსაც, როგორც დეველოპერები ამტკიცებენ, შეუძლიათ მოსწავლის ყურადღების დონის დადგენა მის ტვინში ელექტრული აქტივობის მონიტორინგის (კოსმინა და მესი, 2019) საფუძველზე.⁵⁸

მაშინაც კი, თუკი მოსწავლის განწყობის ამოცნობა, მასზე რეაგირება და შეცვლა გააუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას (ამ განაცხადის მხარდასაჭერად

58. BrainCo შემუშავდა ჰარვარდის ინოვაციების ლაბორატორიაში, <https://brainco.tech/technology>.

რაიმე დამოუკიდებელი, ფართო მასშტაბიანი კვლევების შედეგები ვერ იქნა ნაპოვნი), არსებობს კრიტიკული მოსაზრება იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორ ხდება განწყობის დადგენა, რა გავლენას მოახდენს ის სამომავლოდ აკადემიურ მოსწრებაზე, საგანმანათლებლო გადაწყვეტილებებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც კი, ასევე, რამდენად შეესაბამება ასეთი პრაქტიკა ეთიკურ სტანდარტებს და ხომ არ წარმოადგენს ეს „ემოციური მართვის მექანიზმს“ (უილიამსონი, 2020). მოკლედ, განწყობით ნაკარნახევი ქცევითი სტრატეგიები, რომელთა მიზანია მოსწავლეების წახალისება, წარმოადგენს ქცევის კონტროლის ფსიქოლოგიურ ფორმას, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსწავლის კონფიდენციალურობასა და ავტონომიას (ნემორინი, 2017), ხოლო „ინსტრუმენტებს, რომლებიც იყენებენ ბიომეტრიას, როგორცაა სახის ამოცნობა ელექტრონული პროექტორინგის დროს ან ემოციების იდენტიფიცირება, შეუძლიათ დაარღვიონ ადამიანის უფლებები და შელახონ ადამიანის ღირსება“ (კინგი და პერსონი, 2022: 32).

ერთობლივ მოსაზრებაში, რომელიც გამოაქვეყნა „მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ და „მონაცემთა დაცვის ევროპულმა ზედამხედველმა“ „ევროკავშირის წინადადება ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის შეთანხმებული წესების დამდგენი რეგულაციის“ საპასუხოდ, ნათქვამია, რომ „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფიზიკური პირის ემოციების დასადგენად ძალზედ არასასურველი ქმედებაა და რეკომენდებულია, რომ აიკრძალოს“.⁵⁹ მათი მოთხოვნაა, ასევე, რომ ზოგადად აიკრძალოს ხელოვნური ინტელექტის ნებისმიერი გამოყენება ადამიანის ავტომატური ამოცნობის მიზნით საჯარო სივრცეში (სახე, თითის ანაბეჭდი, დნმ, ხმა, კლავიატურაზე დაწკაპუნება და სხვა ბიომეტრიული ან ქცევითი სიგნალები) და ნებისმიერ სხვა კონტექსტში – რაც, სავარაუდოდ, ასევე, მოიცავს საგანმანათლებლო სივრცეებსაც.

2.1.9. ხელოვნური ინტელექტი და სივრცე და სივრცე

ვინაიდან დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სკოლებში ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფების ვებფილტრაცია, საგრძნობლად გაიზარდა ხე-

59. EDPB-EDPS ერთობლივი მოსაზრება 5/2021 ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს წინადადების შესახებ, რომელიც ეხმიანება ხელოვნური ინტელექტის შესახებ შეთანხმებული წესების დადგენას („ხელოვნური ინტელექტის კანონი“), 2021 წლის ივნისი, https://edpb.europa.eu/system/files/2021-06/edpb-edps_joint_opinion_ai_regulation_en.pdf.

ლოვნურ ინტელექტზე მომუშავე ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც ას-
კანერებენ და აფიქსირებენ ბავშვების ციფრულ აქტივობას. კომბინირებული
პროდუქტების მონიტორინგი და გაფილტვრა გამოიყენება ეკრანული კონ-
ტენტის, კომუნიკაციების, ბავშვების მიერ შესრულებული ვებძიებების გასა-
კონტროლებლად და გარკვეულ მისამართებთან დაკავშირებული URL-ების
და შემომავალი ონლაინკონტენტის გასაფილტრად და დასაბლოკად. ასევე,
კეთდება ჩანაწერები ძიებებისა და ძიების მცდელობების შესახებ.

მიმწოდებლების განცხადებით, ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზი-
რებული სისტემები გამოიყენება ყველაფრის გასაკონტროლებლად, რასაც
ბავშვები წერენ ეკრანზე რეალურ დროში, ხდება ათასობით სიტყვის ინგ-
ლისურ და უცხოენოვან ბიბლიოთეკებში შედარება და შეწყვილება,⁶⁰ შაბ-
ლონების დადგენა მოსწავლის ძიებების ისტორიისა და აქტივობების მი-
ხედვით. ამ შედარებებზე დაყრდნობით, სისტემა აგენერირებს „დროშებს“,
რომელიც მიუთითებს რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის, სხვების მიმართ და
სხვების მხრიდან მომდინარე საფრთხესა ან თვითდაზიანების რისკებზე.
შესაბამისად, დროშები გამოიყენება ბავშვებისა და მათი ოჯახების შესახებ
გაუმჯობესებულ პროფილების შესაქმნელად, ხშირად სხვადასხვა ინტერვენ-
ციის განსახორციელებლად, ინფორმირებული თანხმობის გარეშე. გაეროს
სპეციალური მომხსენებლის 2014 წლის ანგარიშში „ბავშვთა უფლებებისა
და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ნათქვამია, რომ ხელოვნური ინტე-
ლექტის ინსტრუმენტებს შეუძლიათ დაარღვიონ ბავშვის უფლება, მიიღოს
ინფორმაცია და გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, მაგალითად, ისეთ
საკითხებზე, როგორცაა სექსუალური განათლება და ნარკოტიკული საშუ-
ალებების მოხმარება.⁶¹

ამასთან, ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლე-
ვების თანახმად, ვინაიდან სკოლებში უსაფრთხოების ზომების გამოყენე-
ბა თანდათან უფრო ფართოდ გავრცელებულ სახეს იღებს, მოსწავლეები
რეალურად თავს ნაკლებ დაცულად გრძნობენ.⁶² ნებისმიერ შემთხვევაში,

60. მაგალითად, იხილეთ NetSupport DNA, www.netsupportsoftware.com/20160719all-about-the-new-safeguarding-features-in-dna-v4-3-part-2.

61. ფ.ლარუ (2014), სპეციალური მომხსენებელი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლე-
ბის ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში, „სიტყვისა და გამოხატვის უფლების ხელ-
შეწყობა და დაცვა: გენერალური მდივნის/კომენტარი“, <https://digitallibrary.un.org/record/780499?ln=en>.

62. www.brennancenter.org/our-work/research-reports/school-surveillance-zone.

როდესაც მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რომელიც, განმარტების მიხედვით, ინტერუზიულია, სკოლის მოსწავლეები სულ უფრო მეტად ახდენენ საკუთარი ქცევების მოდიფიცირებას, რათა მოერგონ წესებს და დაიცვან საკუთარი კონფიდენციალობა, გამოხატვის თავისუფლება და შეკრების უფლება (ლიტონ გრეი და კუციროკოვა, 2018). გარდა ამისა, პროგნოზებზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შედეგად მიღებულმა ნებისმიერმა ზიანმა შეიძლება, ასევე, გავლენა იქონიოს როგორც მოსახლეობაზე მთლიანად, ასევე, თითოეულ ინდივიდზე (კროუფორდი, 2021).

გარდა ამისა, „სკოლების დაცვაზე“ ორიენტირებული კომპანიები ხშირად გვთავაზობენ ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე სათვალთვალ ინსტრუმენტებს, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვების მიერ შესრულებული ნებისმიერი ნაბიჯის გაკონტროლება და ამტკიცებენ, რომ ამ ინსტრუმენტების დახმარებით შესაძლებელია მარტივად დადგინდეს, საგანმანათლებლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე, თუ რა ესაჭიროებათ დამსაქმებლებს „დასაქმებულთა პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად“⁶³.

2.2. ხელოვნური ინტელექტის ეთიკა და განათლება

2.2.1. ხელოვნური ინტელექტის ეთიკა

მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც ყველა მოქალაქე უნდა იღებდეს მონაწილეობას, არის ხელოვნური ინტელექტის ეთიკა. თუმცა, ეთიკა კომპლექსური საკითხია, მისი მოგვარება კი არც თუ ისე იოლი საქმე; ზოგადად, ხელოვნური ინტელექტის ეთიკურობას დიდი ყურადღება ექცევა მკვლევრების (მაგ. ბოდინგტონი, 2017; უიტაკერი და სხვ. 2018; ვინფილდი და ჯიროტკა, 2018) და უფრო ფართე სტრუქტურების მხრიდან (მაგ. ლორდათა პალატა,⁶⁴ იუნესკო,⁶⁵ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი⁶⁶), იქმნება ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ხელოვნური ინტელექტის ეთიკის საკითხებზე (მაგ.

63. www.netsweeper.co.uk.

64. ლორდათა პალატა (2019), ხელოვნური ინტელექტის შერჩეული კომისია, 2017-19 წლების სხდომის ანგარიში, „ხელოვნური ინტელექტი დიდ ბრიტანეთში: მზად ვართ ამისთვის? <https://publications.parliament.uk/pa/ld201719/ldselect/ldai/100/100.pdf>.

65. იუნესკო (2021), ხელოვნური ინტელექტის ეთიკის რეკომენდაციის ტექსტის პროექტი, <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000376713>.

66. ჯ. ბოსმანი. (2016), “ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული 9 ეთიკური საკითხი“, www.weforum.org/agenda/2016/10/top-10-ethical-issues-in-artificial-intelligence.

ადა ლავლეისის სახელობის ინსტიტუტი,⁶⁷ „ხელოვნური ინტელექტის ეთიკის ინიციატივა“,⁶⁸ „ხელოვნური ინტელექტის ეთიკის ლაბი“,⁶⁹ „ხელოვნური ინტელექტი ახლა“,⁷⁰ და „DeepMind-ის ეთიკა და საზოგადოება“⁷¹). 2019 წელს, ჯობინმა და მისმა კოლეგებმა (2019) განსაზღვრეს ხელოვნური ინტელექტის 84 ეთიკური პრინციპი და დააჯგუფეს ქვემოთ მოცემული ხუთი კატეგორიის მიხედვით: გამჭვირვალობა, პატიოსნება და სამართლიანობა, ზიანის არმყენება, პასუხისმგებლობა და კონფიდენციალურობა. თუმცა, თუ რას ნიშნავს და რას მოიცავს თითოეული მათგანი და როგორ შეიძლება მათი გამოყენება როგორც ხელოვნური ინტელექტის შემუშავების, ასევე, გამოყენების დროს, წარმოადგენს მიმდინარე დებატების საგანს. ნებისმიერ შემთხვევაში, ფარული ზიანი, გამოწვეული ავტომატური გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული უარით, როდესაც კომპიუტერი ამბობს „არა“-ს, უკვე ძალიან ხელშესახებია. მაგალითად, უნივერსიტეტის კადრების დაკომპლექტების ალგორითმი იღებს გრძელვადიან გადაწყვეტილებებს, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ ადამიანების დამოკიდებულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური საკითხები ძალზედ მნიშვნელოვანია, უნდა ვაღიაროთ, რომ „კომპიუტერული სისტემების სოციალური ხარვეზი მართლაც არ გაქრება ეთიკური წესების ან ქცევის კოდექსის კომპიუტერულ სასწავლო პროგრამებში ინტეგრირებით“ (კონოლი, 2020: 54). რეალურად, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებს, როგორც წესი, გააჩნიათ საიმედო კვლევითი ეთიკის პროცედურები, საუნივერსიტეტო ან კომერციული კვლევების უმრავლესობა ხელოვნური ინტელექტის შესახებ არ კონტროლდება ხელოვნური ინტელექტის ეთიკის მოთხოვნების მიხედვით (კროუფორდი, 2021). ეს შეიძლება ნაწილობრივ განპირობებული იყოს იმით, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარების საწყის ეტაპებზე ადამიანის მონაცემების გამოყენებით ჩატარებული კვლევები მინიმალურ რისკად ითვლებოდა. შემოფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ცნობილი კომპანია დადა-

67. 2018 წელს დაარსებული ადა ლავლეისის სახელობის ინსტიტუტი არის „ნუფილდის ფონდის“ ნაწილი, www.adalove-laceinstitute.org.

68. ინიციატივაში იგულისხმება MIT Media Lab-ისა და 2017 წელს დაფუძნებული ჰარვარდის „ბერკმან-კლანინის ინტერნეტისა და საზოგადოების ცენტრის“ ერთობლივი პროექტი, <https://aiethicsinitiative.org>.

69. „ხელოვნური ინტელექტის ეთიკის ლაბი“ ფუნქციონირებს ბოსტონში (აშშ) და სტამბოლში (თურქეთი), <http://aiethicslab.com>.

70. „ხელოვნური ინტელექტი დღეს ინსტიტუტი“ დაფუძნდა 2017 წელს, <https://ainowinstitute.org>.

71. Google DeepMind, <https://www.deepmind.com/about/ethics-and-society>.

ნაშაულებულ იქნა ეთიკური მოთხოვნების დარღვევაში, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ მათ წამყვანი მკვლევრები ეთიკის დარგში მკვლევართა გუნდიდან ამორიცხეს.⁷²

იმის გათვალისწინებით, რომ კომერციული დეველოპერები ბავშვებს იყენებენ საკუთარი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დასატესტად, აუცილებელია, ხელოვნური ინტელექტის ყველა მწარმოებელმა შეიმუშავოს და დანერგოს საიმედო ეთიკური სტანდარტები (OECD, 2021) და არ დაუშვას „ეთიკის თეატრი“. ეთიკას „კომპანიები იყენებენ ლამაზი ფასადის სახით, რომელიც ამართლებს დერეგულაციას, თვითრეგულაციას ან ბაზარზე ფოკუსირებული მმართველობის სტილს და რომელიც სულ უფრო მეტად ასოცირდება ტექნოლოგიური კომპანიების ანგარებიან მისწრაფებასთან, გამოიყურებოდნენ ეთიკური ქცევის მქონედ. ტექნოლოგიური კომპანიების მიერ ეთიკური ენის ასეთ ინსტრუმენტალიზაციას „ეთიკურ თეატრს“ უწოდებენ“ (ბიეთი, 2020).

2.2.2. განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ეთიკა აუცილებელია, თუმცა არა საკმარისი

როგორც უკვე აღინიშნა:

ხელოვნური ინტელექტის ეთიკა გულისხმობს მონაცემებთან (მაგ. თანხმობა და მონაცემთა კონფიდენციალურობა) და მონაცემების ანალიზთან (მაგ. გამჭვირვალობა და ნდობა) დაკავშირებულ მრავალ კომპლექსურ საკითხს. თუმცა ისიც ცხადია, რომ განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის ეთიკა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ მონაცემებისა და კომპიუტერული მიდგომების საკითხებამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ მონაცემებისა და კომპიუტერული სისტემების ეთიკის შესწავლა აუცილებელია, თუმცა არასაკმარისი. განმარტების თანახმად, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტი“ ნიშნავს ხელოვნური ინტელექტის მეთოდებისა და პროცესების გამოყენებას განათლების სფეროში, შესაბამისად, აუცილებელია, რომ „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ეთიკა ასევე ითვალისწინებდეს განათლების ეთიკას. მიუხედავად იმისა, რომ განათლების ეთიკა 2000 წელზე მეტია რაც დებატებისა და კვლევების საგანს წარმოადგენს (მაგ. არისტოტელე, 2009; მაკფარლენი, 2003; პიტერსი, 1970), ის მაინც რჩება „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ფართო საზოგადოების მხრიდან ყველაზე არაღიარებულ და შეუსწავლელ საკითხად (ჰოლმსი და სხვ. 2021: 520)

72. MIT Technology Review (2014), „ჩვენ გავცვანით კვლევას, რომელმაც აიძულა Timnit Gebru დაეტოვებინა Google-ი. აი რა წერია კვლევაში“ www.technologyreview.com/2020/12/04/1013294/google-ai-ethics-research-paper-forced-out-timnit-gebru.

აქტუალური საკითხები, რომლებიც უნდა განიხილებოდეს „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ეთიკის კუთხით, არის შემდეგი:

მასწავლებლის მოლოდინების, რესურსების გადანაწილების (მათ შორის, მასწავლებელთა ექსპერტული ცოდნის), გენდერული და ეთნიკური მიკერძოებულობის, ქცევისა და დისციპლინის, შეფასების სიზუსტისა და მართებულობის, სასარგებლო ცოდნის, მასწავლებლის როლის, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ძალების გადანაწილების და პედაგოგიკასთან დაკავშირებული კონკრეტული მიდგომების (სწავლება და სწავლა, როგორცაა ინსტრუქციონიზმი და კონსტრუქტივიზმი) ეთიკა. (იქვე: 521)

ჯანდაცვის სფეროსგან განსხვავებით, სადაც დიდი ხანია უკვე არსებობს ეთიკური პრინციპები და ქცევის კოდექსი ადამიანების მკურნალობისას, განათლების სფეროში (საუნივერსიტეტო კვლევების გარდა) არ არსებობს მსგავსი უნივერსალური მიდგომა ან ეთიკის ზედამხედველობის კომიტეტის მიერ საყოველთაოდ დამტკიცებული მოდელი. როდესაც საუბარია ხელოვნური ინტელექტზე, ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული დისკუსიების უმეტესი ნაწილი მოსწავლეებს მოიაზრებს როგორც მონაცემთა სუბიექტებს, და არა როგორც ადამიანებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში სავალდებულოა მონაცემების დაცვაზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის წარმოდგენა, კომერციულ მოთამაშეებსა და სკოლებს შეუძლიათ ჩართონ ბავშვები ხელოვნური ინტელექტის სისტემაზე მომუშავე სისტემებში, ყოველგვარი ეთიკური ან სხვა რისკების შეფასების გარეშე.

სხვა ეთიკური გამოწვევები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტისა და განათლების სფეროს წინაშე დგას, არის ანგარიშვალდებულება და პერსონალურ მონაცემთა ბაზარი. დაწესებულებების შემთხვევაში, ეს საკითხი მოიცავს არა მხოლოდ იმას, თუ ან როგორ უნდა მოხდეს ბავშვის „მკურნალობა“ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით განათლებაში, არამედ, ასევე, როგორ უნდა გადანაწილდეს ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა, როდესაც პედაგოგი წყვეტს, გაითვალისწინოს თუ არ გაითვალისწინოს რომელიმე სისტემის რეკომენდაცია. ფართო ინდუსტრიულ დონეზე, საერთო პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ბავშვის მონაცემების, როგორცაა ხმის ან სახის გამოსახულების შესყიდვა არასახარბიელო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისგან, მათ შორის, აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში, რომლებიც შემდგომ მუშავდება მონაცემთა ნაკრების შესაქმნელად ბიომეტრიული კომერციული პროდუქტის განვითარებისათვის გლობალურ ჩრდილოეთში, წარმოშობს მნიშვნელოვან ეთიკურ საკითხებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს დარეგულირებას.

მოკლედ, ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ეთიკა არის კომპლექსური, თუმცა არასაკმარისად შესწავლილი, ზედამხედველობისა და რეგულირების გარეშე დარჩენილი სფერო – მიუხედავად მისი პოტენციური ზემოქმედებისა პედაგოგიკაზე, ხარისხიან განათლებაზე, მოქმედების თავისუფლება-სა და ბავშვების განვითარებად გონებაზე. შესაბამისად, „საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპის საბჭოს ზედამხედველობით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ეთიკური პრინციპების დაცვა განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ეს გავლენას ახდენს მოზარდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობაზე“⁷³.

2.2.3. ხელოვნური ინტელექტის ლოიალობა

ლიტერატურა და გლობალური დისკუსიები ხელოვნური ინტელექტისა და განათლების შესახებ, როგორც წესი, არ მოიცავს ინფორმაციას ინტერესთა კონფლიქტის ან „ხელოვნური ინტელექტის ლოიალობის“ კონცეფციის შესახებ განათლების სფეროში (აგირე და სხვ. 2021). მაშ, ვისთვის მუშაობს ხელოვნური ინტელექტის სისტემა? არიან ესენი მოსწავლეები, სკოლები, განათლების სისტემა, კომერციული მოთამაშეები, პოლიტიკოსები თუ გადაწყვეტილების მიმღები სხვა პირები? შესაბამისად, პრობლემა უკავშირდება არა თვითონ ტექნოლოგიის ეთიკურობას, არამედ უფრო ამგვარ კომპანიებში მომუშავე ადამიანების ეთიკურობას, რომლებიც დგანან ტექნოლოგიების დაპროექტების, იმპლემენტაციისა და გამოყენების უკან, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა ეთიკას. წარმოადგენს თუ არა ხელოვნური ინტელექტის დანერგვა საგანმანათლებლო კონტექსტში ტექნო-სოლუციონისტურ მიდგომას, რომელსაც ყურადღების ფოკუსი გადააქვს პოტენციურად უფრო წარმატებული და გრძელვადიანი სოციალური მიდგომებიდან (მოროზოვი, 2014)? რეალურად, როგორც წესი, „ხელოვნური ინტელექტის განათლებაში დანერგვა ხორციელდება რუტინული დანამატი მოდულის (plug-in), ხელოვნური-ინტელექტი-როგორც-სერვისის, და არა როგორც ეფექტური ავტომატიზებული პედაგოგიური აგენტის ან სასწავლო სისტემის“ სახით (უილიამსონი და ეინონი, 2020). შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის ლოიალურობა ნიშნავს მასთან დაკავშირებული საკუთრების უფლებისა და ინტერესთა კონფლიქტის მკაფიო აღნიშვნას.

73. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)10 წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრული მოქალაქეობის სწავლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=090000168098de08.

ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენის გამჭვირვალობისა და სანდოობის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია, რომ სისტემის დეველოპერებმა და მაკონტროლებლებმა ნათლად შეათანხმონ საკუთარი ხელოვნური ინტელექტის სისტემებისა და მმართველობის სტრუქტურების ლოიალურობა მოსწავლეებისა და სხვა ადამიანების ინტერესებთან, რომლებიც აღნიშნულ სისტემებს მოიხმარენ. ეს უნდა მოიცავდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას (მაგ. ბავშვების წარმომადგენლები და მასწავლებლები, მშობლები, პოლიტიკის შემქმნელები, ინდუსტრია და სამოქალაქო საზოგადოება) ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების დაპროექტების, შესყიდვისა და დანერგვის პროცესებში.

2.3. ხელოვნური ინტელექტი და საგანმანათლებლო ეკონომიკა

2.3.1. პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედება

ტექნოლოგიების, მაგალითად, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ზეგავლენის შეფასებისას, ასევე, მნიშვნელოვანია მაკროპერსპექტივის მხედველობაში მიღება: „შეუძლებელია საზოგადოებაზე ზემოქმედების შეფასება ან მართვა მხოლოდ ტექნოლოგიების შესწავლით, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე“ (პარსონი და სხვ. 2019: 2). აღნიშნული ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან განათლება მიდრეკილია პოლიტიკებისკენ (ჭიკი და ჰოსეინი, 2019): ის, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო გეგმა ან წარიმართოს სასწავლო პროცესი, წარმოადგენს პოლიტიკურ აქტს.

მაგალითად, არსებობს ვარაუდი, რომ კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა სწავლისადმი, რომელსაც იყენებს განათლების სექტორისთვის შექმნილი ხელოვნური ინტელექტის უმეტესობა, არის გარდაუვლად უტილიტარული და მიმართულია სოციალური და ეკონომიკური, და არა მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ (აშრაფი და ჯავადი, 2020). შესაბამისად, თუკი ხელოვნური ინტელექტი უფრო ფართოდ დაინერგება განათლებაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიური ღირებულებების დაკნინება, რადგან უპირატესობა მიენიჭება ცოდნის მიწოდებას და მარტივად გამოძვად კომპეტენციებს, ვიდრე ჰუმანისტური და ცვლადი ღირებულებების განვითარებას, რომელთა ურთიერთშედარება საკმაოდ რთული ამოცანაა: სწავლა, რომელიც აღიარებს

ადამიანის ღირებულებასა და ღირსებას, ლოგიკურობას, ემპათიურობას, მნეობრიობას, ეთიკურობას, დემოკრატიულობასა და კვლევით უნარს.

ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ფართო გამოყენება განათლებაში ასევე შეიძლება აღიწეროს, როგორც ფარული პრივატიზაცია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საგანმანათლებლო კონტექსტში ამჟამად გამოყენებადი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების უმეტესობა წარმოდგენილია კომერციული მოთამაშეების მიერ. მეორე პრობლემა კი ის არის, რომ ეს ინსტრუმენტები იშვიათად ემყარება დადასტურებულ, პედაგოგიურ საჭიროებებს: „სწორედ რომ მარკეტინგული პროდუქტების ეს მისწრაფება, და არა საგანმანათლებლო მიზნები, უდევს საფუძვლად კერძო სექტორის ზოგად მიდგომას ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების შექმნისა და განვითარების მიმართ“ (ნოქსი 2020: 16).

დაბოლოს, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების უმეტესობა, საგანმანათლებლო სფეროში გამოყენებისას, საჭიროებს ტექნიკური კომპეტენციების გარკვეულ დონესა და ლინგვისტურ უნარებს. შესაბამისად, ხელოვნურმა ინტელექტმა, ნაცვლად შემსუბუქებისა, შესაძლოა გააღრმავოს უთანასწორობა განათლების სფეროში ჩართულ მარგინალიზებულ თემებში, მდიდარ და ღარიბ მოსახლეობაში, უნარიან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებში და, ასევე, მათ შორის, ვისაც აქვს ან არ აქვს წვდომა საიმედო ფართობლოვან ინტერნეტ ინფრასტრუქტურაზე (ბიგსი და სხვ. 2018). ამავე მიზეზების გამო, ასევე, არსებობს შესაბამისი მასწავლებლების (ასევე, ადმინისტრაციისა და პოლიტიკის შემქმნელების) პროფესიული გადამზადების კრიტიკული საჭიროება, რათა მათ შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, თუ ხელოვნური ინტელექტის რომელი ინსტრუმენტები მოერგება მათ კლასს, თუ როგორ მუშაობენ ზოგადად ამგვარი ინსტრუმენტები, რისი შესრულება შეუძლიათ მათ, როგორ შეიძლება მათი საუკეთესო ფორმით გამოყენება, მათთან ასოცირებული გამოწვევები და რისკები, ან ნებისმიერი არასასურველი შედეგები.

2.3.2. განათლებაში ხელოვნური ინტელექტის უწყასება

განათლების სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ფართო ადვოკატირების მიუხედავად, მაინც თვალშისაცემია მყარი მტკიცებულებების სიმცირე მისი ეფექტურობისა და უსაფრთხოების, ინკლუზიურობისა და ეთი-

კურობის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო საზოგადოება უკვე ათწლეულებია ატარებს კვლევებს, თუმცა, როგორც წესი, შეფასებები მცირე-მასშტაბიანია, ტარდება მოკლე დროში და ორიენტირებულია ვიწრო სამეცნიერო საკითხებზე. გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, არ არსებობს ძლიერი და დამოუკიდებელი დასკვნა „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკის შემუშავება. დამოუკიდებელი შეფასებები, რომლებიც უკვე არსებობს, როგორც წესი, ერთმანეთს ადარებენ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებსა და „ჩვეულ ბიზნესსაქმიანობას“ (ანუ სადაც მოწყობილობები არ გამოიყენება) და აცხადებენ, რომ ნებისმიერი წარმატება შეიძლება მიეწეროს ზოგადად ტექნოლოგიების გამოყენებას და არა რომელიმე კონკრეტულ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს. გარდა ამისა, ეს „შეფასებები“ მხოლოდ ანალიზებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას (მაგალითად, მიიღო თუ არა მაღალი შეფასება სტანდარტიზებულ ტესტში ან გამოცდაზე), ვიდრე ინსტრუმენტის გავლენას მოსწავლის კოგნიტურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, საკლასო პრაქტიკასა ან მასწავლებლის როლზე.

შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ შეიძინა და ფართოდ გაავრცელა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობამ კერძო და კომერციული ხელოვნური ინტელექტის სისტემები არასაკმარისი ცოდნის მიუხედავად იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ეს სისტემები, რისი მიღწევა შეუძლიათ, როგორ შემოქმედებენ ისინი მოსწავლესა თუ მასწავლებელზე და ა.შ. ძალიან ხშირად, ხარვეზები მოგვიანებით გამოვლინდება ხოლმე, მას შემდეგ, რაც აშკარა ხდება რეალური მავნე შემოქმედება მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე და როცა გრძელვადიანი კონტრაქტებიც უკვე გაფორმებულია.

მანამდე კი, სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემებში დანერგილი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების შემქმნელები, რომელთა დიდი უმრავლესობა კერძო კომერციული სუბიექტები არიან⁷⁴, აგრძელებენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას ან შეთავაზებას სკოლებისთვის, ყოველგვარი აკრედიტაციისა და მოსწავლეთა მიმართ პირდაპირი პასუხისმგებლობის აღების გარეშე. გარდა ამისა, ფულად დანახარჯზე უფრო მეტად შემაშფოთებელია „მონაცემების საფასური“, გადახდილი მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაცემების სახით (კომლენოვიჩი, 2021).

74. <https://rm.coe.int/t-pd-2019-6bisrev5-eng-guidelines-education-setting-plenary-clean-2790/1680a07f2b>.

ამასთან, ძალიან ცოტა მასწავლებელი თუ ფლობს შესაბამის უნარებს ან გადამზადებას, რათა სწორად შეაფასოს ხელოვნური ინტელექტის შემქმნელების განცხადებები, ასევე, ციფრულ წიგნიერებას, იმის დასადგენად, თუ რას გულისხმობს მონაცემები. შედეგად, გადაწყვეტილების მიღების უფლება გადადის პროფესიონალი მასწავლებლისგან ავტომატიზირებულ სისტემებსა და კომერციულ მოთამაშეებზე, რაც აზიანებს პროფესიულ ავტორიტეტს, იწვევს კორპორატიული ანგარიშვალდებულების პრობლემას, რისი აღიარებაც იშვიათად ხდება. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორის აქტორები დომინირებენ ხელოვნური ინტელექტის მიწოდების კუთხით განათლების სფეროში, ხოლო სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემები სულ უფრო მეტად მოელიან სასწავლო სერვისების მიღებას გარეპარტნიორებისგან, რა შეიძლება მოხდეს, თუ კომერციული სუბიექტი ვერ შეასრულებს აღებულ ვალდებულებას ან თუკი კომერციული სუბიექტი უბრალოდ გადაწყვეტს, რომ სერვისების მიწოდება აღარ არის მისთვის საკმარისად მომგებიანი? რა გაუთვალისწინებელი სიტუაციები აქვთ სახელმწიფოებს გათვლილი ასეთი მოვლენების შესარბილებლად ან მოსაგვარებლად?

შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ვინაიდან ზემოთ აღნიშნული სისტემები ფართო მასშტაბით გამოიყენება და ჯერ კიდევ ამოუცნობ გეგვლენას ახდენენ ბავშვების განვითარებად გონებაზე, ხომ არ იქნება უფრო მიზანშეწონილი, მოხდეს ამ სისტემების იმავე სტანდარტებით შეფასება, რომელიც გამოიყენება სამედიცინო ჩარევების შესაფასებლად?⁷⁵ ნებისმიერი სამედიცინო ინტერვენცია გამყარებული უნდა იყოს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის, გამოყენების შედეგების ეფექტურობისა და უსაფრთხოების მტკიცებულებით, მათ შორის, სავარაუდო ბოროტად გამოყენების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, ის, თუ ზუსტად როგორ ფასდება ეს სისტემები, რა ითვლება მტკიცებულებად და სად შეიძლება ამ მტკიცებულების გამოყენება, ჯერჯერობით გაურკვეველია.

2.3.3. განათლებაში ხელოვნური ინტელექტის კოლონიალიზმი

მიუხედავად კორონავირუსული პანდემიისა, 2020 წელს სარისკო კაპიტალის (VC) ინვესტიციებმა ხელოვნური ინტელექტის სტარტაპებში ერთ წელიწადში 75 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც, დაახლოებით, 2 მილიარდი

75. იხილეთ ISO 14971: www.iso.org/standard/72704.html.

აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა საგანმანათლებლო კომპანიების ხელოვნურ ინტელექტში, ძირითადად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწორედ ეს კომპანიები ახორციელებენ საკუთარი პროდუქტების რეალიზაციას გლობალურ დონეზე და ქმნიან ე.წ. „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ კოლონიალიზმს: კომპანიები, რომლებიც იკავებენ ტერიტორიებს საგანმანათლებლო ლანდშაფტში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქმნიან ძალაუფლებით ასიმეტრიებს ბაზრებსა და სახელმწიფოებს შორის. როგორც წესი, კულტურული მრავალფეროვნების დაცვა, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ წინაშე არსებულ ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოწვევად მიიჩნევა, განსაკუთრებით კი თუ გავითვალისწინებთ გლობალურ ჩრდილოეთში განხორციელებული კვლევების რაოდენობას, ასევე, სათანადო და ეფექტური პოლიტიკისა და პრაქტიკის მიწოდების პრობლემურობას (ბლანჩარდი, 2015).

„განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ კოლონიალიზმი ნიშნავს გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან ხელოვნური ინტელექტის ისეთი ინსტრუმენტების დანერგვას, რომლებიც შექმნილია ერთ კონკრეტულ კონტექსტში და სხვა ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში, ტერიტორიულ სარგებელს იღებენ სკოლები, ანუ დაწესებულებები, ან სემინტურად, მთლიანი სახელმწიფო განათლების სისტემები, როდესაც ქვეყანა ან რეგიონი ნერგავს ერთ კონკრეტულ პროდუქტს ყველა სკოლაში.⁷⁶ ამის ყველაზე მკაფიო და ნათელი მაგალითია პლატფორმა გუგლის (Google) კოლონიალიზმი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მონაცემთა კოლონიალიზმის სტრუქტურებსა და პრაქტიკას, სათვალთვალო კაპიტალიზმს და პლატფორმიზაციას (სუჯანი, 2019).⁷⁷ გუგლის საგანმანათლებლო პროდუქტების ხაზის⁷⁸ მიზანია, გახდეს ბაზრის დომინანტი საკლასო ოთახში და საკლასო ოთახის გამოყენებით, სადაც ე.წ. „გუგლის სკოლა“ ასრულებს ელჩის როლს და ასწავლის სხვებს კონკრეტულ ტერიტორიაზე, თუ როგორ მუშაობს გუგლის პროდუქტები – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გუგლის სკოლა“ ასრულებს გუგლის პროდუქტების მარკეტერის ფუნქციას. ეს ერთდროულად ზრდის ტერიტორიულ სარგებელს როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე, ბაზარზე. გუგლის ინსტრუმენტების ჩართვით, მას-

76. <https://marketbrief.edweek.org/marketplace-k-12/coming-soon-huge-test-coming-artificial-intelligences-role-classrooms>.

77. „პლატფორმიზაცია“ ნიშნავს ინტერნეტზე მხარდ დომინირებას მთელი რიგი მსხვილი კომპანიების მხრიდან, რომელთა პროდუქცია ასრულებს ბაზრის როლს მომხმარებელსა და სხვა გამყიდველებს შორის.

78. <https://edu.google.com>.

წავლებელთა ყოველდღიურ პრაქტიკაში გუგლს ეძლევა საშუალება, გაგ-
ლენა მოახდინოს საგანმანათლებლო სექტორის მომავალზე. შესაბამისად,
ისმის შეკითხვა: რა ზეგავლენას ახდენს რეალურად გუგლი ახალგაზრდების
ცხოვრებაზე, საჯარო ინფრასტრუქტურასა და სოციალურ ინსტიტუტებზე?

„განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“ კოლონიზაციის მეორე ინსტრუ-
მენტია ენა. საკლასო გარემოსთვის განკუთვნილი ხელოვნური ინტელექტისა
და განათლების ინსტრუმენტები, როგორც წესი, პრაქტიკაში იტესტება და ვი-
თარდება ინგლისურ ენაზე და, უმეტესწილად, სტანდარტულ ამერიკულ-ინგ-
ლისურ ენაზე (კოტერელი და სხვ. 2020). ეს ბაღებს უამრავ კითხვას იმ ზე-
მოქმედების შესახებ, რომელიც თან ახლავს ინგლისურ ენაზე შემუშავებულ
მოდელებს, რომლებიც გამოიყენება „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“
ინსტრუმენტების მიერ არაინგლისურენოვან კონტექსტში, ასევე, იმ ბაგ-
შვებთან, რომლებიც ამ ინსტრუმენტებს იყენებენ (ნეისმიტი და ჯუფსი, 2021).
აფრიკის სუბსაჰარის რეგიონში სასწავლო პროცესი, რომელიც ხორციელ-
დება ევროპულ ენაზე, ჯერ კიდევ დაბალ აკადემიურ მოსწრებასთან ასოცირ-
დება (კლევი და აფიკა, 2011), რაც გამოვლინდა ღია საგანმანათლებლო რე-
სურსებში (OER), ანუ სფეროში, რომელშიც დაფიქსირდა, რომ ენობრივი და
კულტურული მრავალფეროვნება კვლავაც წარმოადგენს გამოწვევას, ვინა-
იდან ხელმისაწვდომი ღია საგანმანათლებლო რესურსები ძირითადად ინგ-
ლისურ ენაზეა წარმოდგენილი (მიაო და სხვ. 2019). ნებისმიერ შემთხვევაში,
ისმის კითხვა, ახდენენ თუ არა შედარებით კარგად დაფინანსებული, აშშ-ზე
ორიენტირებული ხელოვნური ინტელექტისა და განათლების ინსტრუმენტები
მცირე დაფინანსების მქონე თუმცა ადგილობრივად დატესტილი და პოტენ-
ციურად უფრო ლოკალურად სენსიტიური ხელოვნური ინტელექტის ინსტრუ-
მენტების შევიწროებას? ზოგადად, „განათლებაში ხელოვნური ინტელექტის“
ინსტრუმენტებში გამოყენებული ენის საკითხი საჭიროებს დარეგულირებას,
თუკი სახელმწიფოებს სურთ, შეასრულონ საკუთარი ვალდებულება - „დაიც-
ვან უმცირესობები და მათი ეროვნული ან ეთნიკური, კულტურული, რელიგი-
ური და ენობრივი იდენტობა მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე და შექმნან
პირობები ამ იდენტობების ხელშესაწყობად“ (გაერო, 1992 წ. მუხლი 1).

დაბოლოს, მოსაზრება, რომ ხელოვნური ინტელექტის შესახებ საერთაშო-
რისო თანამშრომლობისთვის შექმნილი ეროვნული პოლიტიკის დოკუმენ-
ტები და კონცეპტუალური ჩარჩო საკმარისია „განათლებაში ხელოვნური
ინტელექტის“ შესატანად, ჯერ კიდევ საკამათოა (ჩანდერი და იაკუბოვსკა,

2020; იუნგი, 2020). ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი და განათლება უკვე დიდი ხანია იქცა სფეროდ, სადაც დომინანტი პოზიცია უკავია კომპიუტერზე ორიენტირებულ შეხედულებებს და არასათანადო ყურადღება ექცევა პედაგოგიკას, განათლების სპეციფიკურ ბუნებას და ბავშვის განვითარებას: „ჩვენ შეგვიძლია ეს საკითხი მივანდოთ სხვებს (კომპიუტერული სფეროს მკვლევრებს, ხელოვნური ინტელექტის ინჟინრებს და მსხვილ ტექნოლოგიურ კომპანიებს), რათა მათ გადაწყვიტონ, თუ როგორ განვითარდეს ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, ან შეგვიძლია ჩვენ თვითონ ჩავერთოთ პროდუქტიულ დიალოგში“ (ჰოლმსი და სხვ. 2019: 180).

ნაწილი III

ხელოვნური ინტელექტი, განათლება, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა

ბელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ძირითად ღირებულებებზე – ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა – დეტალურად იქნა შესწავლილი დიდი ბრიტანეთის ალან ტურინგის ინსტიტუტის მიერ.

მთავრობებმა უნდა აირჩიონ ფრთხილი მიდგომა ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და რეგულირებისას, რათა დაბალანსდეს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანებისა და მათი ინტერესების წინაშე არსებული რისკების მაქსიმალური შემცირება (ლესლი და სხვ. 2021: 16).

თუმცაღა, ზემოთ აღნიშნული კვლევა „ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა: გზამკვლევი“ (ლესლი და სხვ. 2021) არ არის ფოკუსირებული უშუალოდ ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის კავშირების შედგად წარმოშობილი გამოწვევების დაძლევაზე.

მესამე ნაწილში ყურადღება კვლავ დაეთმობა ალან ტურინგის ინსტიტუტის ანგარიშს და განვიხილავთ განათლებას, როგორც ხელოვნური ინტელექტის სპეციფიკური გამოყენების სფეროს. მაშ ასე, წარმოგიდგენთ კვლევას განათლების სფეროსთვის შექმნილი ხელოვნური ინტელექტის სისტემების შესახებ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის თვალთახედვიდან, სადაც კრიტიკულად გავანალიზებთ ამ სისტემების საგანმანათლებლო გარემოში გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და შედეგებს.

3.1. ხელოვნური ინტელექტი, განათლება და ადამიანის უფლებები

3.1.1. რას ნიშნავს ადამიანის უფლებები

დასაწყისისთვის და ქვემოთ დისკუსიისთვის მტკიცე საფუძვლის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი არასწორი ინტერპრეტაციები, საჭიროა, ვუპასუხოთ შემდეგ კითხვას: კონკრეტულად რას გულისხმობს ადამიანის უფლებები?

